



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა (ქართულენოვანი)

შპს ალტე უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 26-27 აპრილი, 2023

დასკვნის პროექტის წარმოდგენის თარიღი: 28.06.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	11
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	21
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	27
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	31
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	40

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	ალტე უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების ტიპი	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი მაირი სკოტი, დანდის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ ღონდაძე - პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ გოდერიძე - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლაშა დოლიძე ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით მაქასარაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მიითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	მედიცინა
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი დონე 7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მედიცინა - 0912
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	360 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

ალტე უნივერსიტეტი 2018 წლიდან ახორციელებს მედიცინის ინგლისურენოვან (ერთსაფეხურიან) პროგრამას და ახლა სურს შექმნას ამ პროგრამის ქართულენოვანი ვერსია. შეიქმნა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფი, რათა განეხილა არსებული ინგლისურენოვანი პროგრამა და ამ ახალი ქართულენოვანი პროგრამისთვის კიდევ უფრო განეხილათ საბაზისო სამეცნიერო სწავლებასა და კლინიკურ სწავლებას შორის ინტეგრაციის დონე; ასევე, რომ შეეტანა აუცილებელი ცვლილებები ქართველი სტუდენტების აყვანის საფუძველზე, რომლებიც მართალია ქართულად ისწავლიან, თუმცა ინგლისურენოვან წერილობით მასალებზე მოუწევთ მუშაობა.

პროგრამა 6 წლიანია და სრულდება 360 კრედიტის მინიჭებით, 12 სემესტრის განმავლობაში. იგი აღწერილია, როგორც "ნაწილობრივ ინტეგრირებული" ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად და იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის PBL, CBL, პაციენტებთან ადრეულ გაცნობას, უნარების განვითარებას (სიმულაციაზე დაფუძნებული), კლინიკური მსჯელობას და კვლევის მეთოდოლოგიას. ანალოგიურად, გამოიყენება შეფასების მთელი რიგი მეთოდოლოგიები, მათ შორის ონლაინ შეფასებები (MCQ და ა.შ.) და პრაქტიკული შეფასებები, როგორცაა OSCE, OSPE და პრაქტიკული პროცედურების შეფასება და შემთხვევებზე დაფუძნებული დისკუსიები. კლინიკურ ფაზაში შეფასება ხდება აქტივობებით, რომლებზეც მიმდინარეობს დაკვირვება. აქტივობები ხორციელდება ბევრ კლინიკაში სხვადასხვა ხელმძღვანელის მიერ, როგორც კლინიკური დანამატის ნაწილი.

მართალია პროგრამაზე ჯერ სტუდენტები არ არიან ჩარიცხული, თუმცა ალტეს უფროსმა მენეჯმენტმა ექსპერტთა ჯგუფს განუცხადა, რომ მიზნად ისახავს, წელიწადში მაქსიმუმ 90 სტუდენტის მიღებას. ეს დაემატება იმ 300 სტუდენტს, რომელთა მიღებაც ყოველწლიურად ხდება მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე. რამდენადაც ეს დაანგარიშება ეფუძნება მისაღებ სტუდენტთა კვოტის მეთოდოლოგიას, რომელიც აღწერილია მე-4 სტანდარტში, აუცილებელი იქნება სასწავლო ობიექტების გაფართოება, ისევე როგორც ფაკულტეტის/მოწვეული სასწავლო პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა შესაძლებელი იყოს როგორც ამ ახალ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, ასევე ინგლისურენოვან სამედიცინო პროგრამაზე მიღებულ სტუდენტთა უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით.

აღსანიშნავია, რომ მედიცინის საერთაშორისო სკოლის გარდა, ალტე უნივერსიტეტში კიდევ რამდენიმე სკოლაა; ესენია; სამართლის სკოლა, საინფორმაციო ტექნოლოგიების სკოლა, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, ბიზნესის სკოლა და შესაბამისად უნივერსიტეტს აქვს ვრცელი მისაღები პროცედურა, ხარისხის და აკადემიური სტანდარტები, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კომუნიკაციის პლატფორმები, მენეჯმენტი და ა.შ. გარდა ამისა უნივერსიტეტში არის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომელთაც ყველა სტუდენტი შეიძლება დაესწროს (<https://alte.edu.ge/en/events>).

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს გაეგზავნა დაწესებულებაში ვიზიტამდე/წინასწარ. ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა ის კონკრეტული სტანდარტები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამებოდა თითოეული წევრის ექსპერტიზას, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად განიხილა ჯგუფის თითოეულმა წევმა და მოამზადა ის

⁴პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

საკითხები, რომელთაც 2023 წლის 26-27 აპრილს დაგეგმილ ვიზიტზე განიხილავდნენ. ვიზიტი განხორციელდა ადგილზე, ალტე უნივერსიტეტში. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელთა დამატებაც იყო საჭირო დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული დოკუმენტები მოითხოვა ვიზიტის მეორე დღის დასაწყისში.

დღე 1 - შეხვედრა და ადგილზე ვიზიტი; ექსპერტთა ჯგუფის ხუთივე წევრი ალტეში დაგეგმილ ვიზიტს პირადად დაესწრო, ისევე როგორც უნივერსიტეტის პერსონალი, გარდა პრეზიდენტისა, რომელიც პირველ დაგეგმილ შეხვედრას ZOOM-ის მეშვეობით შეუერთდა. მან მედიცინის ქართულენოვანი პროგრამის შემუშავების ინიციატივის შინაარსი განმარტა და აღწერა პროგრამის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც მისი თქმით, ეფუძნება საქართველოს ეროვნულ მოთხოვნებს, კერძოდ - საჭიროებას, რომ ჰყავდეს განათლებული ექიმები, რომლებიც შეძლებენ საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მუშაობას. გუნდის სხვა წევრებმაც ისაუბრეს პროგრამის მიზნებსა და ღირებულებებზე.

მოეწყო ტური ალტე უნივერსიტეტის შენობაში, კერძოდ მედიცინის სკოლაში. დათვალიერება მოიცავდა სასწავლო ლაბორატორიის სივრცეებს, საკლასო ოთახებს (დიდი და პატარა ჯგუფებისთვის), ასევე მოხერხებულ სასწავლო სივრცეებს, სიმულაციის ცენტრსა და ბიბლიოთეკას. განხილულ იქნა ის საკითხი თუ რა რაოდენობის სტუდენტების განთავსებაა შესაძლებელი აღნიშნულ სივრცეებში ისევე როგორც რა რაოდენობის ტექნიკური აღჭურვილობაა მათთვის ხელმისაწვდომი. განხილვის საგანი იყო სტუდენტთა მეცადინეობისთვის საჭირო რესურსებზე წვდომაც.

ამის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა ის კლინიკური გარემო, სადაც სტუდენტები პაციენტებს ნახავენ, ზედამხედველობის ქვეშ; მოინახულა კლინიკური სივრცეები, განყოფილებები, სასწრაფო დახმარების განყოფილება, საკლასო ოთახები და საკონფერენციო სივრცეები. თითოეულ ლოკაციაზე განიხილეს, თუ რამდენი სტუდენტის განთავსებაა ფიზიკურად შესაძლებელი. ქვემოთ ჩამოთვლილია ის სამი კლინიკა, რომელიც უნდა მოენახულებინა ექსპერტთა ჯგუფს, თუმცა მესამე კლინიკა იქამდე დაიხურა, ვიდრე ექსპერტთა ჯგუფი დაინიშნულების ადგილამდე მიაღწევდა. გადაადგილება შეაფერხა საავტომობილო გზებზე გადატვირთულმა მოძრაობამ.

1. ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი (ევექსის ჯგუფის ნაწილი)
2. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი
3. ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი

მე-2 დღე, შეხვედრები; შეხვედრები ჩატარდა დაგეგმილი განრიგის მიხედვით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა შეკითხვები დაუსვა ალტე უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის ბოლოს საკუთარი წვლილი შეიტანა უნივერსიტეტისათვის გამართულ არაფორმალურ უკუკავშირში. წარმომადგენლებს განემარტათ, რომ დეტალურ უკუკავშირს ფაკულტეტი მიიღებს უკვე დასკვნის პროექტის სახით. მხარეებმა ორმხრივად გამოხატეს მადლიერება ერთმანეთისთვის გაზიარებული გამოცდილების, ასევე, პროცესით შექმნილი სწავლისა და განვითარების შესაძლებლობისათვის.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დასკვნის პროექტი წარედგინა 18.05.23 თარიღით, ხოლო ალტე უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია განხილვისთვის დაბრუნდა 2023 წლის 23 ივნისს. ექსპერტთა ჯგუფმა იგი სრულად განიხილა და გარკვეული ცვლილებები შეტანილ იქნა მე-2 და მე-4 სტანდარტების რეკომენდაციებში. თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ წამოჭრილი სხვა საკითხები არ საჭიროებს საბოლოო დასკვნაში ცვლილებას, გარდა ზოგიერთი საკითხისა სადაც მოწოდებულია მცირე დამატებითი ინფორმაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა ძლიერ ეფუძნება მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამას, რომელიც უკვე 3 წელია ხორციელდება და აკრედიტებულია. ინტეგრირებული პროგრამა სათანადოდ ეფუძნება საგანმანათლებლო პედაგოგიკას, გამყარებულია კურიკულუმითა და შეფასების დიზაინით, შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და უმაღლესი განათლების სამედიცინო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან. არის მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას და ესეც მოცემულია ანგარიშში.

რეკომენდაციები

სტანდარტი 1

- არ არის მითითებული

სტანდარტი 2

- არ არის მითითებული

სტანდარტი 3

- არ არის მითითებული

სტანდარტი 4

- 4.1. რეკომენდებულია პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებთან.
- 4.1. სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა გადახედოს, რამდენად ჰყავს საკმარისი პერსონალი (სასწავლო და ადმინისტრაციული) სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდების უზრუნველსაყოფად.
- 4.4. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გადახედოს კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს და შესაბამისობაში მოიყვანოს უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, რათა დარწმუნდეს, რომ მათში შეტანილია ყველა აუცილებელი ელემენტი (სასწავლო კურსების სია, სტუდენტთა წლიური რაოდენობა, ნაკადების განსაზღვრა).
- 4.4. კონკრეტულად რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გაზარდოს რესურსები; სიმულაციის ცენტრის ოთახების რაოდენობა, პრაქტიკის დაწესებულების, ლაბორატორიული ოთახების რაოდენობა და ასევე თითოეული საბაზისო/კლინიკური კურსის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რათა დაწესებულებას ჰქონდეს საკმარისი შესაძლებლობა რომ განახორციელოს აღნიშნული პროგრამა მაქსიმუმ 90 მისაღებ სტუდენტზე ყოველწლიურად, რაც დაემატება უკვე არსებული ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამის 300 სტუდენტს ყოველწლიურად.
- 4.4. რეკომენდებულია კონკრეტული ხელშეკრულებების გაფორმება ყველა განმახორციელებელ კლინიკასთან დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამის დანერგვისთვის.

სტანდარტი 5

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სტანდარტი 1

- 1.1 გაიზარდოს პარტნიორობა უცხოურ ინსტიტუტებთან, უსდ-მ კონტრაქტით დაიქირაოს მოწვეული მასწავლებლები (პროფესორები, ლექტორები), რომლებიც ელექტრონული

სწავლების, ვებინარებისა თუ პირისპირ შეხვედრების მეშვეობით, დამატებითი ექსპერტიზით შეიტანენ წვლილს სწავლების პროცესში.

- 1.1. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სამეცნიერო კვლევითი მიმართულება ცოტა ხნის წინ განახლდა, უნივერსიტეტი უნდა დაფიქრდეს კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო კვლევას შორის ურთიერთობებს. ამის შეტანა შესაძლებელია სამეცნიერო სტრატეგიაში.
- 1.1. სასწავლო გეგმა ამჟამად აღწერილია, როგორც „ნაწილობრივ ინტეგრირებული“ და იმის გათვალისწინებით, რომ ალტე უნივერსიტეტს სურს სამუშაოსთვის შესაბამისი, კარგად გაწვრთნილი კურსდამთავრებული მედიკოსების გამოშვება და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ორი ახალი სამედიცინო პროგრამა აქვს განხორციელების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპებზე, შესაძლებელია, რომ მოიძებნოს გზები იმისათვის, რომ სასწავლო გეგმა გახდეს უფრო სრულყოფილად ინტეგრირებული.
- 1.3. მართალია შეფასების დაგეგმილი განრიგი (ყოველწლიური შეფასება, მეორე ეტაპის დასასრულს სამივე წლის კოლექტიური განხილვით) კარგი პრაქტიკაა, თუმცა შესაძლებელია იმაზე დაფიქრებაც, რომ განხორციელდეს საბაზისო ეტაპის „შუალედური“ კოლექტიური განხილვა 2 წლის ბოლოს, იმისათვის რომ საჭირო ცვლილებები შევიდეს პრე-კლინიკურ ეტაპზე გადასვლამდე. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე მოხდეს რეაგირება იქამდე, ვიდრე სტუდენტები დაიწყებენ კლინიკურ ეტაპს, სადაც უკვე ჯგუფებში იმუშავებენ და ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნებიან კამპუსში მყოფი პედაგოგებისთვის.
- 1.4. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ იქნა შესაძლებლობები ისეთი პორტფოლიოს შესაქმნელად, რომელიც აკმაყოფილებს ალტე უნივერსიტეტის კურიკულუმისა და სტუდენტების საჭიროებებს ინტეგრირებულ პროგრამაზე, სასურველი იქნება თუკი შეიქმნება „საპილოტე პორტფოლიო“ სხვა უსდ-ების მაგალითების საფუძველზე, რომელზეც ალტეს აქვს წვდომა. იმის ნაცვლად, რომ უსდ დაელოდოს როდის შემუშავდება სპეციალურად ალტეზე მორგებული პორტფოლიო, უფრო ეფექტური იქნება, თუკი იქამდე გამოცდის სხვადასხვა ტიპის პორტფოლიოებს ახლანდელი სტუდენტებისთვის, კურიკულუმის განხორციელების ამ ადრეულ ეტაპზე და პორტფოლიოს საბოლოო დიზაინს დააფუძნებს სწორედ ამ შედეგებზე.
1.4. სასურველია, ალტე უნივერსიტეტმა გამოავლინოს, განსაზღვროს და შეათანხმოს კვლევის ის სფეროები, რომელზეც ყურადღებას გაამახვილებს საერთაშორისო დონეზე. ეს შესაძლებელს გახდის, რომ რესურსები ორიენტირებული იყოს პრიორიტეტულ მიმართულებებზე; გარდა ამისა ამგვარად უსდ სტუდენტებს დაეხმარება განვიითარონ კვლევითი უნარები, მაღალხარისხიანი კვლევის გამოცდილებით.

სტანდარტი 2

- 2.1. სასურველია, რომ მეტი მოქნილობისთვის, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები დაემატოს პროგრამას წინაპირობის სახით.
- 2.2. კლინიკებში სტუდენტების კლინიკური პრაქტიკის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია პროგრამის III ფაზის კლინიკურ საგნებში პროგრამას დაემატოს დღის/საღამოს ცვლებში მორიგეობა. სილაბუსში მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი მორიგეობის კრიტერიუმები.
- 2.4. მიზანშეწონილია OSCE/OSPE სადგურების რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანა სილაბუსების შინაარსთან.

სტანდარტი 3

- 3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს ERASMUS-ის და სხვა საერთაშორისო შესაძლებლობების შემდგომი გაღრმავება სტუდენტური გამოცდილების და აკადემიური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.
- 3.1. გამორჩეული სტუდენტების სასწავლო ასისტენტებად დაქირავების პრაქტიკა არის სტრატეგიული ინიციატივა, რომელიც აუმჯობესებს უნივერსიტეტის სასწავლოს შესაძლებლობებს და ეხმარება სტუდენტებს წარმატების მიღწევაში. ექსპერტთა ჯგუფის

რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა უკეთ დანერგოს ეს სასარგებლო პრაქტიკა. მასწავლებლის ასისტენტობის შესაძლებლობების გაფართოება და დისციპლინათა ფართო სპექტრის შემოტანა, ისევე როგორც ხელმისაწვდომი როლების რაოდენობის გაზრდა, უფრო მეტ სტუდენტს შესძენს ღირებულ გამოცდილებას. გარდა ამისა, სტრუქტურირებული მენტორობის კომპონენტის შემოტანა, ანუ როდესაც ფაკულტეტის წევრები ხელმძღვანელობას უწევენ სასწავლო ასისტენტებს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს პროფესიულ განვითარებას.

სტანდარტი 4

- 4.1. იქ სადაც ტუტორებს არ აქვთ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, სასარგებლო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა კონკრეტული საგნები და უნარები შეიძლება ისწავლებოდეს ჯანდაცვის სხვა პროფესიონალების მიერ და კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დონე.
- 4.1. სასურველია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრობლემაში მონაწილე ყველა უცხოელი ლექტორი მიიღებს ქართული ენის ცოდნის დამატებით ტრენინგებს B2 დონის სერტიფიკატს, მათ შეეწყობთ ხელი ქართულ ენაზე კომუნიკაციისას იყენენ თავდაჯერებულნი.
- 4.4. ადმინისტრაციული სირთულის შესამცირებლად, რჩევაა რომ თითო ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა იყოს 10 და არა ორ 10 კაციან ჯგუფად დაყოფილი - 20.

სტანდარტი 5

- 5.1. სასურველია მმართველობის სტრუქტურის დოკუმენტაცია მოიცავდეს დამატებით დეტალებს, რათა უკეთ განისაზღვროს სხვადასხვა ქვე-ჯგუფების უფლებამოსილება, მაგალითად პროგრამის შემუშავების კომისიის და მასში ჩართულთა წარმომადგენლობითი როლი.
- 5.1. ალტე უნივერსიტეტმა უმჯობესია გადახედოს იმ გადაწყვეტილებას, რომ უფლება მისცეს ყველა დაინტერესებულ პირს გახდეს პროგრამის შემუშავების კომისიის წევრი და მოახდინოს ამის რესტრუქტურირება ისე, რომ წარმომადგენლობითი წევრობა დაეფუძნოს პერსონალის როლებს.
- 5.1. სასურველია, რომ ხარისხის მართვისა და შესაბამისობის განყოფილებამ განაგრძოს ჩართულობა პორტფოლიოს შემუშავების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს, რომ პორტფოლიოს ფარგლებში შეგროვებული მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს ისე, რომ მოხდეს პროგრამის მონიტორინგისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა.
- 5.1. დამსაქმებლებთან არსებული კომუნიკაციების გაუმჯობესება შესაძლებელია, თუკი ალტე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ შესაბამის კლინიკებში ექიმებთან კომუნიკაციების გარდა, ისინი ასევე მჭიდრო კომუნიკაციაში იქნებიან მმართველ რგოლთან. ეს დაეხმარება უსდ-ს დამატებითი ლოჯისტიკის უზრუნველყოფაში მამინ, როდესაც სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება.
- 5.1. სასურველია, რომ ალტე უნივერსიტეტმა იფიქროს დამატებით ინოვაციურ გზებზე, უკუკავშირისთვის განკუთვნილი კითხვარების გარდა, რითაც სტუდენტები შეძლებენ პროგრამის განვითარებაში წვლილის შეტანას.
- 5.2. ამჟამინდელი პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს შედარებისთვის ინტეგრაციის სხვადასხვა დონის მქონე სამი დაწესებულების გამოვლენას არის ძალიან ხელსაყრელი და ეფექტურად ეხმარება პროგრამის განვითარებას, თუმცა სამომავლოდ, დამატებითი სარგებლის მიღება შესაძლებელია თუკი ერთი, უფრო სრულად ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მაგალითის დეტალური განხილვა განხორციელდება, ახალი საერთაშორისო პარტნიორი დაწესებულების ჩართულობით.
- 5.3. მიზანშეწონილია, რომ ალტე უნივერსიტეტმა გაარძელოს მიდგომის შენარჩუნება ბაზრის კვლევის რეგულარულად ჩატარების კუთხით, რათა უზრუნველყოს პროგრამის განვითარება ისე, რომ დააკმაყოფილოს დამსაქმებლების და საქართველოს მოსახლეობის ჯანდაცვის საჭიროებები.
- 5.3. ალტე უნივერსიტეტისთვის შესაძლოა ხელსაყრელი აღოჩნდეს, თუკი შეიმუშავებს პროგრამისთვის სპეციფიურ ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტს, რომელსაც განახორციელებს მისი ამჟამინდელი ეფექტური მიდგომის პარალელურად, რომელიც ვრცელდება მთელს უნივერსიტეტში. სპეციალურად პროგრამისთვის მოქმედი პარალელური

ელემენტის არსებობა შესაძლოა დაეხმაროს უსდ-ს, დამატებითი პრობლემების გადაჭრაში, კერძოდ ისეთების, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სტუდენტთა რაოდენობისა და კლინიკური სწავლების მასშტაბის გამო. ამ სამუშაოს გაუმჯობესება შესაძლებელია, თუკი ეს მოხდება ევექსის ჯგუფთან თანამშრომლობით.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

სტანდარტი 3.1

- გამორჩეული სტუდენტების სასწავლო ასისტენტებად დაქირავება კონკრეტულ საგნებში არამხოლოდ ეხმარება უმცროს სტუდენტებს, რომლებიც ტუტორინგს იღებენ უფროსი სტუდენტებისგან, არამედ ეს ასევე ადრეულ ეტაპზე ავითარებს სწავლების უნარებს, რამაც შესაძლოა უზიაროს უფროს სტუდენტებს, რომ კურსის დამთავრების შემდეგ აკადემიური კარიერა სამედიცინო განათლებაში გააგრძელონ.

სტანდარტი 4.4

- ევექსის ჯგუფთან პარტნიორობა არის შესანიშნავი შესაძლებლობა, რომ სტუდენტებისთვის სწავლების გზით უზრუნველყოთ სტაბილური, მუდმივი და ხარისხიანი კლინიკური გამოცდილების მიცემა.

▪ **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

არ არის მითითებული

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ არის

⁵პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ალტეს (შემდგომში უნივერსიტეტი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა შეესაბამება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას (ECTS) და მოიცავს 360 კრედიტს. სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები იძლევა საკმარის ინფორმაციას პროგრამის სტრუქტურულ კომპონენტებზე, თითოეულ კურსზე გამოყოფილი კრედიტის საათობრივი რაოდენობით. ერთი ECTS შეადგენს 30 საათს, და მოიცავს საკონტაქტო საათებს (ლექციები, სემინარები, პრაქტიკა და ა.შ.) ასევე დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. პროგრამის ხანგრძლივობა არის 6 წელი/12 სემესტრი. პროგრამა ხორციელდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ეროვნული კვალიფიკაციის განახლებული ჩარჩოსა და ცენტრის მიერ განსაზღვრული უმაღლესი სამედიცინო განათლების მოქმედი დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

დოკუმენტები მოიცავდა სასწავლო საგნების წარდგენასაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (სილაბუსებით). ასევე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია სემესტრში თითოეული საგნის ECTS ქულების ოდენობის, ტუტორების, პედაგოგების და მათი კვალიფიკაციის/გამოცდილების (CV) შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი, დაგეგმილი საგანმანათლებლო პროცესები (მეთოდები, დაწესებულებები, ადამიანური და ტექნიკური რესურსი, განათლების საბოლოო პროდუქტის კრიტერიუმები და სწავლება და ა.შ.) სხვადასხვა გადმოსახედიდან. პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, ორიენტირებულია ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე (პროგრამაზე ჩატარდა კვლევა ადგილობრივი შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესახებ, რომელიც ჩაატარა მარკეტინგული კვლევის კომპანია „ANOVA“-მ ალტე უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით) და მიღწევადია. მიზნები ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. ამ მხრივ, უსდ-ს მიერ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტებად განისაზღვრა შემდეგი:

- განხორციელდა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის პრინციპები. აკადემიური კურსები გაერთიანდა "მოდულებად" ორგანოთა სისტემების მიხედვით.
- სწავლის შედეგები (LOs) შესაბამისობაში იქნა მოყვანილი პროგრამის მიზნებთან.

- გადაიხედა პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ დაგეგმონ, განახორციელონ და ინტერპრეტაცია გაუწიონ სამეცნიერო კვლევას და წარუდგინონ მისი შედეგები პროფესიულ საზოგადოებას.

- განისაზღვრა პროფესიონალიზმის კრიტერიუმები და დონეები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე; პროფესიონალიზმის შეფასებები, ასევე პრეზენტაციები, მოხსენებები, სტატიები, სოციალური აქტივობები და ა.შ. შედის სტუდენტის პორტფოლიოში, რომელიც გამოყენებული იქნება კურსების განმავლობაში ან მის შემდეგ სტუდენტების მიღწევების დასახასიათებლად.

კურიკულუმი ორიენტირებულია კრიტიკული აზროვნების, გუნდური მუშაობისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდი სასწავლო პროცესის ადრეულ ეტაპზე დაინერგა.

პროგრამის მიზნები მოცემულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ისინი უკავშირდება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც არის: „ალტე უნივერსიტეტის ხედვაა, იყოს ხარისხიანი განათლების მიღების, სამეცნიერო კვლევისა და პროფესიული უნარების განვითარებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც ქვეყანაში, ასევე რეგიონში და გახდეს მიზიდულობის ერთგვარი ცენტრი არამარტო ქართველი, არამედ საერთაშორისო სტუდენტებისთვისაც“. ამგვარად, პროგრამისთვის მომგებიანი იქნება, თუკი მას ექნება კავშირები სხვა ქვეყნის სამედიცინო განათლებასთან და წახალისებს გაცვლით პროგრამებს/ვიზიტებს სხვა ქვეყნებში, იქაური სამედიცინო განათლების მიდგომების შესასწავლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია, მიზნები, სტრატეგია
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი #1)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი (დანართი 2)
- და სტუდენტებთან ინტერვიუები დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.alte.edu.ge
- ინტერვიუები პერსონალთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- გაიზარდოს პარტნიორობა უცხოურ ინსტიტუტებთან, უსდ-მ კონტრაქტით დაიქირაოს მოწვეული მასწავლებლები (პროფესორები, ლექტორები), რომლებიც ელექტრონული სწავლების, ვებინარებისა თუ პირისპირ შეხვედრების მეშვეობით, დამატებითი ექსპერტიზით შეიტანენ წვლილს სწავლების პროცესში.
- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სამეცნიერო კვლევითი მიმართულება ცოტა ხნის წინ განახლდა, უნივერსიტეტი უნდა დაფიქრდეს კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო კვლევას შორის ურთიერთობებს. ამის შეტანა შესაძლებელია სამეცნიერო სტრატეგიაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო სამედიცინო (ქართული) პროგრამა შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციისა და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად და კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს (NQF) შეფასების კრიტერიუმებისა და მედიცინის სფეროში კომპეტენციების ინტეგრაციის საფუძველზე, რომელიც ეროვნულ ჩარჩოს სამ დომენად ყოფს (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, და პასუხისმგებლობა და ავტონომია).

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად აღწერს მისი დამთავრებისთვის საჭირო მინიმალურ კომპეტენციებს, მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიმდინარე შეფასება არ მოიცავს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისგან რადგან პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები. მიუხედავად ამისა, ეს გეგმები კარგად არის ჩამოყალიბებული და პროგრამის ამოქმედების შემდეგ განხორციელების ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს შესრულების ზუსტი ინდიკატორებით.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია პროგრამის დონეზე და პროგრამის თითოეული კომპონენტის დონეზე და ამას მოწმობს ექსპერტთა ჯგუფისთვის წარდგენილი სილაბუსის დოკუმენტაცია. კურიკულუმის რუკაში ასევე ჩანს სწავლის შედეგების სამი დონე: შესავალი, გაღრმავება, განმტკიცება. ზოგადად, სწავლის შედეგებსა და სხადასხვა კურსებს შორის კავშირი მკაფიოდ არის აღწერილი შესაბამის დოკუმენტებში და წარმოდგენილია სწავლის შედეგების სათანადო დონე (შესავალი, გაძლიერება-განმტკიცება და დახელოვნება)

განათლების პირველი საფეხური არის ჰორიზონტალური ინტეგრაცია. ინტეგრირებული კურსები შედგენილია ოთხ კომპონენტად და კლინიკურ უნარებად, მაგალითად, სხეულის ფუნქცია და სტრუქტურები I, II, III, IV. ინტეგრირებული კურსები ერთმანეთთან თემატურ კავშირშია.

კლინიკური კომპონენტები მოცემულია პირველივე სასწავლო სემესტრიდან, მაგალითად, კლინიკური უნარები ინტეგრირებულია კურსში სახელად „ექიმი და პაციენტი“ - რომელიც ისწავლება სიმულაციურ გარემოში, სიმულაციის ცენტრში, ინტეგრირებული კურსი „ექიმი და პაციენტი“ მოიცავს ექვს კომპონენტს (I-VI). ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია კლინიკური უნარები, რომელიც ინტეგრირებულია პირველ სემესტრში კომუნიკაციის საგანთან. მეორე და მესამე სემესტრებში ბიოეთიკა ინტეგრირებულია კლინიკურ უნარებთან. მომდევნო სემესტრში „ლიდერობა“ ინტეგრირებული იქნება კლინიკურ უნარებთან. მეოთხე სემესტრში კლინიკური უნარების კომპონენტში ისწავლება პირველადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევებში - დამწვრობა,

დახრჩობა, სისხლდენა და ა.შ. მომდევნო სემესტრში ისწავლება კურსში „ზოგადი ქირურგია და კლინიკური უნარები“. სწავლის მეოთხე წლიდან აქტიურად ინერგება კლინიკური კომპონენტები. კლინიკური კომპონენტების ადმინისტრირება ხდება ალტე ჰოსპიტალის ბაზებში სათანადო კვალიფიციურ პრაქტიკოსებთან ერთად. კლინიკური კომპონენტების შემაჯამებელ შეფასებას აქვს ორი კომპონენტი (MCQ და OSCE/კლინიკური შემთხვევის განხილვა).

სწავლის ბოლო ფაზაში (XII სემესტრი) სტუდენტებს აქვთ კლინიკური პრაქტიკის კურსი ოთხ ძირითად მიმართულებაში: კარდიოლოგია, ქირურგია, ინტენსიური თერაპიის მედიცინა, თერაპია. კურსებში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (CBL) და ა.შ.

სტუდენტებს შეუძლიათ შეიძინონ ძირითადი ტექნიკური/პრაქტიკული უნარები სამედიცინო სკოლის სიმულაციური ცენტრში (Skills Lab). შეიძლება ითქვას, არსებული გარემო აკმაყოფილებს პრეკლინიკური კურსების საბაზისო მოთხოვნას და, სიმულაციური უნარების ტრენინგის დროს მიღებული პროცედურული ცოდნა ინტეგრირებულია არსებულ კლინიკურ კურიკულუმში, თუმცა საჭიროა კლინიკურ საგნებში ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება დიაგნოსტიკური და ტექნიკური/ინტერვენციული საშუალებებით. ექსპერტებს უთხრეს, რომ უკვე არსებობს გეგმები, გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად დაგეგმვისთვის.

დანერგილია სტუდენტთა პორტფოლიო, სადაც ინდივიდუალური მიღწევები ჩაიწერება პირველი სემესტრიდან, რაც შესაძლებელს გახდის აკადემიური განვითარების თვითშეფასებას და პროგრესის გზების მხარდაჭერას. პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ ეს იყო მისთვის პრიორიტეტული განვითარების სფერო და რომ მას სურს უზრუნველყოს, რომ არჩეული ფორმატი შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს და სტუდენტების პროფესიულ განვითარებას.

კურიკულუმის ფარგლებში ისწავლება ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, რამაც სტუდენტებს შესაძლოა მისცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ პროფესიის სამეცნიერო განვითარებაში. გარდა ამისა, პროგრამა აერთიანებს ქცევითი და სოციალური მეცნიერებებისა და ეთიკის წვლილს, რაც - თეორიულად - იძლევა ეფექტური კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებას კლინიკურ პრაქტიკაში.

რომ შევაჯამოთ, როგორც ჩანს, სათანადო ინტეგრაცია საბაზისო სამედიცინო მეცნიერებებსა და კლინიკურ საგნებს შორის მიღწევადაა და ამ პროცესმა უნდა განავითაროს ჩარიცხული სტუდენტების უნარები, რათა მათ აიღონ შესაბამისი კლინიკური პასუხისმგებლობა პროგრამის დამთავრებისთანავე და გააგრძელონ პროფესიული განვითარება. სწავლების პროფესიული შინაარსი და სტრუქტურა, სწავლებისა და სწავლის გამოყენებული დამხმარე მეთოდები თანამედროვეა, აკმაყოფილებს პროფესიულ მოთხოვნებს და შესაფერისია სწავლის შედეგების მიღწევისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან ილუსტრირებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია როგორც პროგრამის, ისე პროგრამის კომპონენტის დონეზე. სასწავლო გეგმის რუკა გვიჩვენებს, თუ რამდენად ავითარებს პროგრამის თითოეული კომპონენტი სწავლის თითოეულ შედეგს...

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დანართი N1 პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა - საგანმანათლებლო პროგრამაში დანართი N1

- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი- დანართი 7
- პროგრამის კომისიის ოქმი, საინფორმაციო შეხვედრის ოქმები
- სკოლის საბჭოს ოქმი
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.alte.edu.ge

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასწავლო გეგმა ამჟამად აღწერილია, როგორც „ნაწილობრივ ინტეგრირებული“ და იმის გათვალისწინებით, რომ ალტე უნივერსიტეტს სურს სამუშაოსთვის შესაბამისი, კარგად გაწვრთნილი კურსდამთავრებული მედიკოსების გამოშვება და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ორი ახალი სამედიცინო პროგრამა აქვს განხორციელების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპებზე, შესაძლებელია, რომ მოიძებნოს გზები იმისათვის, რომ სასწავლო გეგმა გახდეს უფრო სრულყოფილად ინტეგრირებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➤ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსები საკმარისად დეტალურად აღწერს სწავლის შედეგების (LOs) შეფასების მეთოდებს, კომპონენტებს, ქულებს და კრიტერიუმებს. პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც ნაჩვენებია, თუ რომელი კურსი/კომპონენტი ისწავლება და ფასდება.

ამ სქემაში დაგეგმილია შეფასების მრავალმხრივი და ეფექტური პირდაპირი და ირიბი მეთოდები, მათ შორის ზეპირი გამოცდა, წერილობითი ტესტი/ქვიზები, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება (სიმულატორებზე/მანეკენებზე, პაციენტებზე ან სტანდარტიზებულ პაციენტებზე), OSCE, შუალედური შეფასებისთვის - მინი OSCE (სადაც სადგურების რაოდენობა შეიძლება იყოს 12, ხოლო დასკვნით გამოცდაზე - 12-14); ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE)

ლაბორატორიული და/ან ინსტრუმენტული გამოკვლევებისთვის პრეკლინიკურ მეცნიერებებში, როგორცაა ფიზიოლოგია, ბიოქიმია და პათოლოგია. WPBA (სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება) განკუთვნილია კლინიკურ ტრენინგში გამოსაყენებლად, პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვებით (DOPS), შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსიით (CBD), მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშოებით (მინი-CEX).

შეფასების ეს სისტემა გამჭვირვალეა და მხედველობაში იღებს დარგის თავისებურებებს. ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების მსვლელობაში ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ ყოველწლიურ შეფასებასთან ერთად სწავლის შედეგების ანალიზით, ისინი ასევე ჩაატარებენ მიმოხილვას პირველი 3 წლის ბოლოს, რათა განიხილონ მთელი პროგრამის განხორციელების პროცესი მიმდინარე მომენტამდე. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ ამის საფუძველზე უნივერსიტეტი ამ ეტაპზე და კლინიკური ფაზის დაწყებამდე განხორციელებს ყველა საჭირო ცვლილებას პროგრამის სწავლის შედეგებში.

საერთო ჯამში, უსდ ითვალისწინებს მთელ რიგ შესრულების ინდიკატორებს და განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს საზოგადოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მჭიდრო მონიტორინგის კავშირი უნდა იყოს უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის, რათა შემოწმდეს კლინიკური სწავლების ხარისხი და პრაქტიკა მე-3 წლის შემდეგ - ხელი შეუწყოს უწყვეტი სწავლის პროცესს და უზრუნველყოს ჰარმონია გეგმებსა და რეალობას შორის.

პროგრამის დასრულების ტემპი ძირითად გამოიყენება პროგრამის შედეგების შეფასების საჩვენებლად. ასევე, პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევის ინდიკატორად განიხილება სტუდენტების მომავალი დასაქმება. ამ მხრივ სრულად არის გათვალისწინებული სამედიცინო ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნები.

პროგრამის შემუშავებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და მიღებული შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულთან. საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეიცვალოს პროგრამის მიზნები/შინაარსი/სწავლის შედეგები/შეფასების სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართები (ჩაბარებული დოკუმენტების)
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- მართალია შეფასების დაგეგმილი განრიგი (ყოველწლიური შეფასება, მეორე ეტაპის დასასრულს სამივე წლის კოლექტიური განხილვით) კარგი პრაქტიკაა, თუმცა შესაძლებელია იმაზე დაფიქრებაც, რომ განხორციელდეს საბაზისო ეტაპის „შუალედური“ კოლექტიური განხილვა 2 წლის ბოლოს, იმისათვის რომ საჭირო ცვლილებები შევიდეს პრე-კლინიკურ

ეტაპზე გადასვლამდე. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე მოხდეს რეაგირება იქამდე, ვიდრე სტუდენტები დაიწყებენ კლინიკურ ეტაპს, სადაც უკვე ჯგუფებში იმუშავენ და ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნებიან კამპუსში მყოფი პედაგოგებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსებით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია - ინტეგრირებულია ძირითადი სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებები, მათი დამხმარე კურსები, სოციალური მეცნიერებები. პროგრამის ინტეგრაციის ხარისხს აძლიერებს PBL სწავლების მეთოდი PBL სესიის (ტუტორიალური) ფორმატში.

აღტეს მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა შემუშავდა სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლისა და უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. ინფორმაცია კურსების თანმიმდევრობისა და წინაპირობების შესახებ მოწოდებულია სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსებში. ყველა სილაბუსი განხილულ იქნა ისე, რომ ყურადღება გამახვილდა შემდეგზე: დაშვების წინაპირობები, სწავლის მიზანი და შედეგები, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, შეფასების მეთოდები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა.

წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად პროგრამა კარგად არის ინტეგრირებული, სასწავლო გეგმის მოდულები და საგნები შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს საშუალება მისცენ შეისწავლონ ადამიანის აგებულება, ფუნქცია და განვითარება ორგანიზაციის თითოეულ დონეზე (მოლეკულურიდან ორგანოთა სისტემებამდე და მთელ სხეულში). . პროგრამა დაყოფილია ოთხ ძირითად ეტაპად, I ფაზა (საბაზო) (I-IV სემესტრი), II ფაზა (პრეკლინიკური; V-VI სემესტრი), III ფაზა (კლინიკური; VII- X სემესტრი) და IV ფაზა (კლინიკური პრაქტიკა) და კვლევის ეტაპი XII სემესტრი .

Skills Lab განიხილება, როგორც ამოსავალი წერტილი კომუნიკაციისა და ტექნიკურ-პრაქტიკული სწავლებისთვის და მხარს უჭერს სტუდენტის უნარების განვითარებას ჰორიზონტალურად მოცემულ პარამეტრებში აქტივობების სირთულის გაზრდით, მაგალითად: მანეკენების გამოყენება არის საფუძველი შემდეგ ეტაპზე იმიტირებულ პაციენტებთან გაძლიერებული ინტერაქციისთვის და მოგვიანებით უკვე რეალურ სცენარებში ინტერაქციისთვის; ასევე, მხარს უჭერს სტუდენტის უნარების განვითარებას, კლინიკურ გარემოში გუნდური მუშაობით, სიმულირებული დილემებით, ფორმარული და შემაჯამებელი შეფასებებით.

კლინიკურ გარემოსთან ადრეული გაცნობა (ექიმი და პაციენტი) აძლევს სტუდენტებს კონტექსტურ ცნობიერებას დაავადების შესახებ და ეს არის შესანიშნავი საფუძველი მათი ცნობიერების ინტეგრირებისთვის არა მხოლოდ კლინიკურ სპეციალობაში, არამედ საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და საზოგადოებაზე ზრუნვასა და პირველად დახმარებაში. პრეკლინიკური სემესტრების ნაწილად, CBL-ის დამატება ასევე ხელს უწყობს კლინიკური მსჯელობის უნარების განვითარებას, რომელიც მოიცავს კონტექსტუალურ ელემენტებს.

სტაჟირების IV ფაზაზე სტუდენტებისთვის საკმარისი გამოცდილების შეთავაზების კუთხით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, ამის დაგეგმვისას, ფინალურ სემესტრებში, საკმარისი ყურადღება და დრო უნდა დაეთმოს კლინიკურ შემოვლებს და პრაქტიკულ სამედიცინო სამუშაოებს, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.

პორტფოლიო სულ უფრო ხშირად გამოიყენება ინტეგრირებული ტიპის სასწავლო გეგმაში, როგორც მეთოდი, რომლითაც ხდება სტუდენტის სწავლის აღრიცხვა და დამტკიცება, ასევე ხდება პროფესიული პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა, კლინიკური შემთხვევების სტანდარტიზებულად აღრიცხვა; ასევე, პორტფოლიო სტუდენტებს შორის ერთმანეთის რეცენზირების შესაძლებლობას იძლევა. სასიამოვნო იყო პროგრამის ხელმძღვანელისგან იმის მოსმენა, რომ მიმდინარეობს ამ პორტფოლიოს შემუშავების პროცესი პროგრამისთვის, თუმცა ჯერ უცნობია რა ფორმა ექნება ამას.

ალტე უნივერსიტეტმა ასევე გამოხატა საკუთარი ძალისხმევა სამედიცინო კვლევის განვითარებისადმი და უნდა აღინიშნოს, რომ კვლევითი უნარების განვითარება და კვლევის შედეგები ორივე ასახულია კურიკულუმში. ამ ყოველივეს ზრდა-განვითარებასთან ერთად, შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე განისაზღვროს და შეთანხმდეს კვლევის პრიორიტეტულ სფეროებში ალტე უნივერსიტეტის რეპუტაციის განვითარებისა და გავლენის მაქსიმალურად გაზრდის ეფექტური გზები. სტუდენტები, რომელთაც აქვთ წვდომა მაღალი ხარისხის კვლევასთან, სწავლობენ დარგის ექსპერტებისგან და აქვთ მათი მხარდაჭერა, რათა განახორციელონ საკუთარი კვლევითი პროექტები, კურიკულუმის ფარგლებში.

პროგრამამ გაითვალისწინა თანამედროვე სამეცნიერო მიდგომები და ამ მხრივ, გამოიყო ფონდი, რომელიც მოიცავს დასაქმებულთა წახალისებასა და დაფინანსებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით. აღნიშნულ პროცესში ნახსენებია ყველა ის სამედიცინო კლინიკა სადაც შესაძლებელია ასეთი საქმიანობის განხორციელება. ყველაზე დიდი ყურადღება გამახვილებულია ევექსის სამედიცინო კლინიკების ქსელზე.

პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს, რაც გულისხმობს მემორანდუმების გაფორმებას სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტთან, უცხოელი კოლეგების მოწვევას და მოწვეულ საუნივერსიტეტო პერსონალს, მათი კვალიფიკაციების ასამაღლებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- კურიკულუმის დოკუმენტი
- პერსონალის სია, დანართი 2
- საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და განხორციელების წესი, დანართი 3
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- ვებგვერდი www.alt.edu.ge

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ იქნა შესაძლებლობები ისეთი პორტფოლიოს შესაქმნელად, რომელიც აკმაყოფილებს ალტე უნივერსიტეტის კურიკულუმისა და სტუდენტების საჭიროებებს ინტეგრირებულ პროგრამაზე, სასურველი იქნება თუკი შეიქმნება „საპილოტე პორტფოლიო“ სხვა უსდ-ების მაგალითების საფუძველზე, რომელზეც ალტეს აქვს წვდომა. იმის ნაცვლად, რომ უსდ დაელოდოს როდის შემუშავდება სპეციალურად ალტეზე მორგებული პორტფოლიო, უფრო ეფექტური იქნება, თუკი იქამდე გამოცდის სხვადასხვა ტიპის პორტფოლიოებს ახლანდელი სტუდენტებისთვის, კურიკულუმის განხორციელების ამ ადრეულ ეტაპზე და პორტფოლიოს საბოლოო დიზაინს დააფუძნებს სწორედ ამ შედეგებზე.
- სასურველია, ალტე უნივერსიტეტმა გამოავლინოს, განსაზღვროს და შეათანხმოს კვლევის ის სფეროები, რომელზეც ყურადღებას გაამახვილებს საერთაშორისო დონეზე. ეს შესაძლებელს გახდის, რომ რესურსები ორიენტირებული იყოს პრიორიტეტულ მიმართულებებზე; გარდა ამისა ამგვარად უსდ სტუდენტებს დაეხმარება განივითარონ კვლევითი უნარები, მაღალხარისხიანი კვლევის გამოცდილებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➤ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
 - სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღტე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის შინაარსი და შედეგები, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ფარგლებში გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. მოცემულია კურსის მახასიათებლები. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსზე მიღების წინაპირობებს, რომლებიც ასახულია სილაბუსებში. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალას რაც შეეხება, ვინაიდან ქართულ ენაზე განახლებული ლიტერატურა მწირია, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პირთა აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს ლიტერატურის თარგმნას და სტუდენტებისთვის მიწოდებას ჰენდაუთების სახით. ლიტერატურა განახლებულია დარგის მიმდინარე მიღწევებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ინტერვიუს დროს პროგრამის სილაბუსის განმახორციელებელმა ერთ-ერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა მიიღო დაფინანსება, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება უნივერსიტეტს მითითებული მიმართულებით. ინტერვიუების დროს, ჯგუფის წარმომადგენლებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ნებისმიერი მომუშავე ექიმისთვის აუცილებელია სამედიცინო ლიტერატურის კითხვა ნებისმიერ საერთაშორისო ენაზე, ამიტომ სასწავლო პროცესში აქცენტი ინგლისური ენის დონის ამაღლებაზეა გადატანილი.

საავადმყოფოებთან დადებული კონტრაქტები შეიცავს დეტალებს განსათავსებელი სტუდენტების რაოდენობასთან ან კლინიკურ კურსებზე მათი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებით. პროგრამის აღწერაში „ადრეული კლინიკური ექსპოზიცია“ გამოიხსნა, რომ დაიწყოს პირველი წლიდან. აღწერილობის მიხედვით, ბიოეთიკისა და კომუნიკაციის უნარების კურსებზე სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა პაციენტებთან. უნივერსიტეტს აქვს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა, ონლაინ ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე: <http://journals.cambridge.org/Cambridge University Press. Royal Society Publishing; Sage Journals; ScienceDirect; Scopus, eDuke Journals Scholarly Collections>, და სხვა. ელექტრონული ბიბლიოთეკა ადვილად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მათ შორის ელექტრონული/დისტანციური სწავლების პირობებში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამული სწავლის შედეგების რუკა - საგანმანათლებლო პროგრამაში - დანართი N1

- სასწავლო გეგმა - საგანმანათლებლო პროგრამაში - დანართი N1
- კურიკულუმის რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- საბიბლიოთეკო რესურსები (ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები)
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ალტე უნივერსიტეტის MD პროგრამაში მიღების წინაპირობები გამჭვირვალე და საჯაროა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტზე, სადაც ასევე მითითებულია, რომ ამ პროგრამაზე წლიური მიღება უნდა იყოს 90 სტუდენტი.

პროგრამაზე ჩასარიცხად, აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ბიოლოგია და ერთი არჩევითი საგანი (ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა). ეროვნულ გამოცდაზე აბიტურიენტმა უნდა დაამტკიცოს ინგლისური ენის ცოდნა, სულ მცირე A2 დონეზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მაგრამ ინგლისური ენა არის ერთადერთი უცხო ენა, რომლითაც სტუდენტს შეუძლია ჩაირიცხოს სამედიცინო პროგრამაზე, თუმცა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტებს შეუძლიათ სხვა უცხო ენების (გერმანული, ფრანგული, რუსული) ჩაბარება, სამედიცინო პროგრამაზე ჩასარიცხად. მეტ მოქნილობისთვის უკეთესი იქნება პროგრამაში წინაპირობად იმ შემთხვევაში უცხო ენების დამატება.

სტუდენტებს პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლიათ შიდა და გარე მობილობითაც. მობილობის პროცედურები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა მოითხოვეს დოკუმენტაცია, ინგლისურენოვან პროგრამაზე სტუდენტთა ტრანსფერის შესახებ. უსდ-მ მოგვარდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, კრედიტების აღარებით და ყველა სხვა აუცილებელი დოკუმენტი, რომელიც საჭიროა გარე მობილობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- ალტე უნივერსიტეტის ვებ-საიტი: <https://alte.edu.ge>
- კრედიტების აღიარების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია , რომ მეტი მოქნილობისთვის, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები დაემატოს პროგრამას წინაპირობის სახით.

○

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით წარმოდგენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევის უნარების განვითარებას.

პრაქტიკული უნარები ვითარდება სხვადასხვა დონეზე, როგორც პრეკლინიკურ, ასევე კლინიკურ სტადიაზე. პროგრამის პრეკლინიკურ ფაზაში აუცილებელი კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს ძირითადად კურსი „ექიმი და პაციენტი I-VI“, რომელიც ტარდება უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრში. უნივერსიტეტს სიმულაციური ცენტრში აქვს 2 სიმულაციური ოთახი (სასწავლო ოთახი). უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ერთი ლაბორატორიული კაბინეტი (ჰისტოლოგია, ბიოქიმია) და ასევე კლინიკა „მეგალაბში“ (პათოლოგია) პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარების ხელშესაწყობად.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება განათლების დონეს.

პროგრამის ერთ-ერთი შედეგია: „ასრულებს მოვალეობებს კარდიოლოგიურ, მულტიდისციპლინურ, კრიტიკულ და ქირურგიულ განყოფილებებში, იმავდროულად, მხედველობაში აქვს წესები და რეგულაციები, რომლებიც გამოიყენება კლინიკურ გარემოში მუშაობისათვის“. ეს შედეგი მიიღწევა XII სემესტრის კურსში "სუბორდინატურა", თუმცა სტუდენტების უკეთ ადაპტაციისა და მომზადებისათვის საბოლოო სუბორდინატურისათვის და ასევე იმის გამო, რომ პრაქტიკული მეცადინეობის დროს ყველა სტუდენტს არ აქვს პაციენტზე მანიპულირების სრული შესაძლებლობა, მიზანშეწონილია, რომ პროგრამას დაემატოს პროგრამის III ფაზიდან დღის/საღამოს ცვლაში მორიგეობა კლინიკურ საგნებში. სილაბუსში მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი მორიგეობის კრიტერიუმები.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამეცნიერო უნარების სწავლებას აკადემიურ წერაში, კვლევის მეთოდებში (1, 2, და 3), სოციოლოგიაში, ასევე სამეცნიერო კვლევით ნაშრომში (20 კრედიტი). აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი სწავლობს არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებას, რომელთაც ძირითადად სწავლობს კვლევის მეთოდებში 1,2,3, არამედ XII სემესტრის კურსში „კვლევითი პროექტი“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ატარებს კვლევას, აანალიზებს და საჯაროდ წარადგენს მის შედეგებს. სტუდენტმა უნდა იმოქმედოს ხელმძღვანელის ინსტრუქციებისა და უნივერსიტეტის პოლიტიკის შესაბამისად და დაიცვას საჯაროდ. ეს ყველაფერი სასარგებლოა სამეცნიერო კვლევის უნარების განვითარებისათვის. სამეცნიერო-კვლევით პროექტში სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას, ხოლო თვითშეფასების ანგარიშისა და ასევე აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების თანახმად, უსდ ზრუნავს აკადემიური პერსონალის კვლევითი მიმართულების განვითარებაზე.

ყოველწლიურად ალტე უნივერსიტეტი მასპინძლობს სტუდენტურ კონფერენციას. კონფერენციაზე გამარჯვებული მოხსენებები/ნაშრომები ქვეყნდება უნივერსიტეტის ყოველწლიურ ცნობარში. ეს

ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებსაიტზე და ასევე თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტებში, თუმცა, მედიცინის ფაკულტეტის ანგარიშებში იგი ვერ მოიძებნა. მიზანშეწონილია მსგავს კონფერენციებში ჩართულობის გაზრდა და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების სამეცნიერო უნარების ამაღლების მიზნით მათი მოხსენებების გამოქვეყნება.

კლინიკური სწავლების ჩატარების მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს EVEX-ის კლინიკებთან და კერძოდ - ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო საავადმყოფოსთან. არსებობს მემორანდუმები, რომლებიც დეტალურად აღწერს პროგრამის ზოგად საგანმანათლებლო მიზანს და მიწოდების ლოგისტიკას, თუმცა დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, თითოეულ მემორანდუმში დეტალურად უნდა მოხდეს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების აღწერა: 1. სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა წელიწადში; 2. კლინიკური კურსების დასახელება და ხანგრძლივობა; 3. სტუდენტთა რაოდენობა დროის ერთსა და იმავე პერიოდში კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში. ასე რომ, რეკომენდებულია ყველა დეტალის მიწოდება თითოეულ მემორანდუმში, რათა უზრუნველყოფილ იქნას აღწერილი სწავლების მეთოდისა და შინაარსის მიწოდება მოცემულ ადგილზე.

პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. როგორც ასეთი, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა საგანი ისწავლებოდეს ამ სფეროს გამოცდილების მქონე პირების მიერ, თუმცა აღინიშნა, რომ სასწავლო კურსში „ექიმი და პაციენტი“ შემდეგ თემებს: საფეთქელ – ქვედა ყბის სახსრის ინსპექტირება და პალპაცია, მოძრაობის დიაპაზონი და მანევრები, სახის დათვალიერება და პალპაცია, ხერხემლის გამოკვლევა, პალპაცია და მანევრები და ა.შ. ასწავლის მედდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მანიპულირება რთულია, მნიშვნელოვანი იქნებოდა პროგრამას უზრუნველყო, რომ ისინი, ვინც ზედამხედველობენ კომპლექსური უნარების განვითარებას, თავად იყვნენ აღჭურვილნი ამის მისაწოდებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- ადგილზე ვიზიტი
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- კლინიკებში სტუდენტების კლინიკური პრაქტიკის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია პროგრამის III ფაზის კლინიკურ საგნებში პროგრამას დაემატოს დღის/საღამოს ცვლებში მორიგეობა. სილაბუსში მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი მორიგეობის კრიტერიუმები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ შესაბამეობს მოთხოვნებს
------------	------------------------------	--------------------------	----------------------------	---------------------------

		მითხოვნება ნ	მითხოვნება ნ
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების ამ საფეხურს, კურსის შინაარსს, დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრულ სტუდენტის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლების სტრატეგიებია: ლექციები, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული მეთოდი, განმარტებითი, დისკუსია, დემონსტრირების მეთოდი, დედუქციური და ინდუქციური მეთოდები, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (CBL), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (BPL), როლური თამაში, საწოლთან სწავლება, თანატოლთა რეპეტიტორობა, ვირტუალური რეალობის მეთოდები.

უმაღლეს სასწავლებლებში აცხადებენ, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს გეგმის შემუშავების ზოგად პრინციპებსა და პროცედურას, პირთა წრეს და კომპონენტებს, რომლებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს ინდივიდუალურმა მიდგომამ. ამ ეტაპზე უმაღლეს სასწავლებელს არ ჰყავს სტუდენტები, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მაგრამ პროცედურები მაინც ნათლად არის გაწერილი დოკუმენტებში.

პანდემიის პირობებში შეიქმნა და დამტკიცდა „ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი“. ლექციები და სემინარები ტარდებოდა ZOOM პლატფორმების მეშვეობით. ყველა მასალა (წიგნები, ვიდეო ლექციის ჩანაწერები) ხელმისაწვდომი იყო ელექტრონულ პორტალზე. ყველა ეს საშუალება ეხმარება სტუდენტებს და უმაღლეს სასწავლებელს, უზრუნველყონ ელექტრონული/დისტანციური სწავლება სწავლის სფეროსთვის შესაბამისი სასწავლო მეთოდებით, რომლებიც არ ცვლიან პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი
- სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და ნიმუში

რეკომენდაციები:

○ არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არ არის მითითებული
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამა იყენებს შეფასების ნაკრებს მთელი სასწავლო გეგმის განხორციელების პერიოდში, რომელთაგანაც უმეტესობა ობიექტურია, მათ შორის კლინიკური ტრენინგის ფაზაში. ყველა სილაბუსი შეიცავს შეფასების პროცესების დეტალურ აღწერას და შეფასების რუბრიკას. პროგრამაში გამოყენებული შეფასების კომპონენტებია: შუალედური (მრავალჯერადი) შეფასება - მაქსიმალური შეფასების 60% (კლინიკურ პრაქტიკაში - 80%), საბოლოო (ერთჯერადი) შეფასება - მაქსიმალური შეფასების 40% (კლინიკურ პრაქტიკაში - 20%). პროგრამაში გამოყენებულია შეფასების მეთოდები: MCQ, OSCE, OSPE, პრაქტიკული მუშაობა, ზეპირი შეფასება, კითხვა-პასუხი (Q/A), პრეზენტაცია, პრაქტიკული პროცედურის შეფასება, როლური თამაში, CBL შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფს განუცხადეს, რომ უნივერსიტეტმა ინვესტიცია გააკეთა პროგრამა Turnitin-ის შესაძენად, ყველა წერილობითი ნაშრომის ანტიპლაგიატზე შესამოწმებლად. ეს ასევე გამოვლინდა ინტერვიუების დროს, სადაც ლექტორებმა განაცხადეს, რომ ისინი ხვდებიან სტუდენტებს, რათა კურსის დაწყებამდე აცნობონ მათ Turnitin პროგრამის შესახებ, ხოლო კურსის დასასრულს თუ საჭირო იქნება გადაიხედება %-ის ქულები.

თითოეული აკადემიური კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებას. სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას სწავლის შედეგებზე, ასევე საკუთარი ძლიერი მხარეების გაუმჯობესებაზე და გასაუმჯობესებელ სფეროებზე. სტუდენტების შეფასების აპელაციის პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია. გასაუბრებისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ გასაჩივრების პროცესს, თუმცა პრაქტიკულად ჯერ არავის გამოუყენებია. მაგრამ დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ეს დოკუმენტები და მათი ხელმისაწვდომობა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას მოითხოვოს თავისი ნამუშევრის ხელახალი შემოწმება. ამ შემთხვევაში შესაბამისი წარმომადგენლობითი კომისია გონივრულ ვადაში განიხილავს

სტუდენტის საჩივარს. გასაჩივრების პროცესი შეიძლება მოიცავდეს შეფასების შედეგების განხილვას და სხვა შემფასებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებას

ალტე უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, სადაც ნათლად არის დაფიქსირებული, რომ დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია უზრუნველყოს საჭირო ელექტრონული რესურსები დისტანციური სწავლებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი
- ელექტრონული სასწავლო პორტალი
- ხელშეკრულება პროგრამა "ტურნიტინზე"

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია OSCE/OSPE სადგურების რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანა სილაბუსების შინაარსთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან

საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის, ადგილზე ვიზიტის დროს შეგროვებული დამატებითი დეტალებისა და უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ უნივერსიტეტმა დანერგა ყოვლისმომცველი კომუნიკაციის სისტემა, რომელიც მოიცავს პირისპირ კონსულტაციის სესიებს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, და ელექტრონული სასწავლო პორტალი სახელწოდებით „საგანმანათლებლო პროცესის მართვის სისტემა“ (EMIS). EMIS პორტალზე სტუდენტებს საშუალება აქვთ დაგეგმონ სასწავლო განრიგი და შექმნან ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც აჩვენებს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს. დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისური) პროგრამის სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებენ სათანადო კონსულტაციას სასწავლო პროცესთან და აკადემიურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით პროგრამის მენეჯერებისაგან. მათ ასევე განაცხადეს, რომ ჰქონდათ აკადემიურ პერსონალთან პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობა გამოყოფილი კომუნიკაციის საათებისა და სოციალური ქსელების გამოყენებით, მყისიერი შეტყობინებების საშუალებით.

უნივერსიტეტი დიდ პრიორიტეტს ანიჭებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებასა და კარიერულ განვითარებას და გააფორმა მემორანდუმი ქვეყნის უდიდეს კლინიკების ქსელთან - ევექსის კლინიკებთან. მემორანდუმის თანახმად, ევექსის კლინიკები უნივერსიტეტის წარმატებულ სტუდენტებს დასაქმების შესაძლებლობას მისცემს და რეგულარულად გაუზიარებს ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტი აქტიურად ატარებს შეხვედრებსა და ვორქშოპებს სტუდენტების დასაქმების უნარების გასავითარებლად, ასევე ატარებს დასაქმების ფორუმებს. აღსანიშნავია, რომ მართალია ექსპერტთა ჯგუფს მიეცა მხოლოდ საერთაშორისო სტუდენტებთან გასაუბრების საშუალება, მათ განაცხადეს, რომ არ მიუღიათ მონაწილეობა მსგავს ღონისძიებებში და ვერ დაადასტურეს, რომ სამედიცინო სფეროში სამუშაო ადგილები უზრუნველყოფილია. უმაღლეს სასწავლებელს აქვს გარკვეულ საგნებში გამორჩეული სტუდენტების ასისტენტად აყვანის პოზიტიური პრაქტიკა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათი კარიერული განვითარების შესაძლებლობებს.

უსდ ახორციელებს რამდენიმე აქტივობას საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის მხარდასაჭერად:

- უნივერსიტეტი ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს პირველი კურსის სტუდენტებისათვის, სთავაზობს სპორტულ ღონისძიებებს და მხარს უჭერს კლუბებს სხვადასხვა წარმომავლობის სტუდენტებს შორის ინტერაქციისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად.
- თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუების მიხედვით, არსებობს სტუდენტთა ელჩების კომიტეტი, რომელიც მუშაობს სტუდენტების რეკრუტირების დეპარტამენტთან და პირდაპირი კომუნიკაციის

საშუალებით ეხმარება პოტენციურ სტუდენტებსა და პირველ კურსელებს სტუდენტური პერსპექტივის მიწოდებით, რათა დაეხმაროს უნივერსიტეტის გარემოსთან ადაპტაციაში.

• უნივერსიტეტი აწყოებს ექსტრაკურსულურ აქტივობებს, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტუდენტების კულტურას, როგორცაა ჩინური ახალი წელი, რამადანი და ინდური საახალწლო ზეიმები.

ამჟამად უნივერსიტეტი არ ახორციელებს გაცვლით პროგრამებს საერთაშორისო სტუდენტებისთვის სამედიცინო პროგრამაში, მაგრამ გეგმავს მომავალში ქართველი სტუდენტებისთვის ERASMUS პროგრამის ინიცირებას. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ უმაღლესი სასწავლებელი ელოდება გადაწყვეტილებას და ჯერ არ ჩამოუყალიბებია რაიმე პროგრამა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა ამ ინიციატივის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. უნივერსიტეტი ასევე გეგმავს მონაწილეობას საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ორ საერთაშორისო პროექტში, რომლებიც ფოკუსირებულია დარგობრივ მედიცინასა და პირველადი ჯანდაცვის სფეროზე. სტუდენტებს ექნებათ ამ პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ვიზიტის დროს შეგროვებული დეტალებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ უნივერსიტეტმა შექმნა ეფექტური საკომუნიკაციო არხები, კარიერის მხარდაჭერის სერვისები და მისასაღმებელი გარემო საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციისთვის. EMIS პორტალის გამოყენება კიდევ უფრო აძლიერებს სტუდენტების აკადემიურ გამოცდილებას. თუმცა, გაცვლითი პროგრამების და საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროები გასაუმჯობესებელ მხარეს წარმოადგენს. უნივერსიტეტი მოწადინებულია გააგრძელოს ERASMUS-ის და სხვა საერთაშორისო შესაძლებლობების შემდგომი გაღრმავება სტუდენტური გამოცდილების და აკადემიური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. გამორჩეული სტუდენტების სწავლების ასისტენტებად ჩართვა და საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის მცდელობები ადასტურებს უნივერსიტეტის ვალდებულებას უზრუნველყოს თავისი სტუდენტებისთვის ყოვლისმომცველი და ინკლუზიური საგანმანათლებლო გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- მემორანდუმი Evex-ის ჰოსპიტლებთან
- EMIS-ის პორტალი
- კონსულტაციების განრიგი – შეხვედრა პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს ERASMUS-ის და სხვა საერთაშორისო შესაძლებლობების შემდგომი გაღრმავება სტუდენტური გამოცდილების და აკადემიური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.
- გამორჩეული სტუდენტების სასწავლო ასისტენტებად დაქირავების პრაქტიკა არის სტრატეგიული ინიციატივა, რომელიც აუმჯობესებს უნივერსიტეტის სასწავლოს შესაძლებლობებს და ეხმარება სტუდენტებს წარმატების მიღწევაში. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა უკეთ დანერგოს ეს სასარგებლო პრაქტიკა. მასწავლებლის ასისტენტობის შესაძლებლობების გაფართოება და დისციპლინათა ფართო სპექტრის შემოტანა, ისევე როგორც ხელმისაწვდომი როლების რაოდენობის გაზრდა, უფრო მეტ სტუდენტს შესძენს ღირებულ გამოცდილებას. გარდა ამისა, სტრუქტურირებული

მენტორობის კომპონენტის შემოტანა, ანუ როდესაც ფაკულტეტის წევრები ხელმძღვანელობას უწევს სასწავლო ასისტენტებს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს პროფესიულ განვითარებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

Summary and Analysis of the Education Programme's Compliance with the Requirements of the Component of the Standard

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
შეფარდება	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ზედამხედველობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში;
- პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად მიმდინარეობას და ასევე მათი კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის და სხვა დაკისრებული მოვალეობების გამართულ შესრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე შესაბამისი კომპეტენციებს პროგრამის სასწავლო სფეროში. ასევე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტთა მიღების კვოტის მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს:

- ა. სასწავლო ფართი კვმ/2კვმ
- ბ. თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის 1/15
- გ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

დ. ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა x 40 (სტუდენტების რაოდენობა)

ე. კომპიუტერების რაოდენობა x 30 სტუდენტზე

თუ ცალკე განვიხილავთ მხოლოდ ქართული პროგრამის 90 სტუდენტის კვოტას, მაშინ ყველა მოთხოვნა შეესაბამება, მაგრამ ინგლისურ პროგრამის 300 სტუდენტთან ერთად - ისინი საჭიროებენ როგორც პერსონალის რაოდენობის, ასევე სწავლის მხარდასაჭერად საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაზრდას. გასაგებია, რომ ამჟამად მიმდინარეობს პერსონალის დაკომლევება და რომ დაგეგმვა ხორციელდება მინიმუმ ერთი სემესტრით ადრე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დაქირავების ნებისმიერ პროცესში გარდაუვალია დროში შეფერხება ვაკანსიის გამოცხადებასა და კონკრეტული პროგრამის სწავლების შემდეგ სრულად დაკომპლექტებული პერსონალის ყოლას შორის, ეს უნივერსიტეტისთვის გამოწვევების სფეროს წარმოადგენს.

პერსონალის შერჩევა ხდება ღიად და მკაცრი წესით, რასაც ადასტურებენ ლექტორები გასაუბრებისას. აღნიშნული პედაგოგების უმეტესობა ინგლისურენოვანი პროგრამის განმახორციელებელიცაა, სადაც გაირკვა, რომ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა წელიწადში 300-ია. აღსანიშნავია, რომ პერსონალის ნაწილი სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც არის დაკავებული, რის გამოც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მათი თავისუფალი დროის მიხედვით, რაც ზოგ შემთხვევაში გულისხმობს 6-8 საათიან ლექცია-სემინარებს ერთ დღეში.

ამ ეტაპზე ინგლისურენოვანი პროგრამის (ინტერვიუები აჩვენებს, რომ ამ ეტაპზე 900 აქტიური სტუდენტი) სტუდენტების დიდი ნაწილი ჯერ არ არის კლინიკურ ეტაპზე, შესაბამისად კლინიკური განრიგი არ ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა, როდესაც დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) სტუდენტები დაიწყებენ ჩარიცხვას, ორი კურსი დაემთხვევა ერთმანეთს და კლინიკებში კლინიკური განთავსება და პედაგოგთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს ამ სტუდენტთა რაოდენობის შესატყვისად.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, მოწვეული პერსონალი, სავარაუდოდ, უფრო მოძრავი იქნება და შესაძლოა წავიდეს სამუშაოდ სხვა ადგილებში. ეს წარმოადგენს სამედიცინო პროგრამის პოტენციურ რისკს კონტრაქტების გადინების გამო, განსაკუთრებით თუ ისინი ჩართულნი არიან მნიშვნელოვან კურსებში, რომლებიც გავლენას მოახდენს განვითარების მდგრადობაზე.

პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა პროფესიონალიზმით, ცოდნითა და საჭირო უნარებით, ის არის ასოცირებული პროფესორი.

ადმინისტრაციული პერსონალი კარგად მუშაობდა ერთად, როგორც ეფექტური გუნდი, რაც დასტურდება მათი პასუხებით კითხვებზე, რომლებიც ძირითადად ერთმანეთს ემთხვეოდა და ასევე ავლენდნენ იმ საკითხების ცოდნას, რომლებშიც ისინი უშუალოდ არ იყვნენ ჩართულნი, თუმცა იცოდნენ სხვების გადმოცემით.

განმახორციელებელი პერსონალის დოკუმენტაციის დათვალიერებისას, ზოგიერთი მათგანის შესახებ სრული ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა, ბევრი რეზიუმეების შეფასება ცოტა რთული იყო, რადგან არ ჩანდა განახლების თარიღი.

მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მაჩვენებლების განაცხდის მიხედვით, კლინიკური სასწავლო კურსების განმახორციელებლებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება. თუმცა დამადასტურებელი ცნობები ვერ მოიძებნა და ზოგიერთი ლექტორის შემთხვევაში სახელმწიფო სერტიფიკატი გაცემულია 1 ან 2 წლის წინ ან/და ატარებენ კლინიკურ საგანს, მაგრამ არ არიან დასაქმებულები კლინიკაში. ასევე აღინიშნა, რომ ჩამოთვლილთაგან ზოგიერთს არ ჰქონდა დიპლომირებული მედიკოსის წოდება პროგრამაზე მიღების დროს ან საერთოდ არ არის დიპლომირებული მედიკოსი (ის არის მედა). მიუხედავად იმისა, რომ ეს ასახავს მულტიდისციპლინური ჯანდაცვის ჯგუფის მიდგომას, სასარგებლო იქნებოდა კვალიფიკაციის დონის გარკვევა, რომელიც აუცილებელია კონკრეტული საგნებისა და უნარებისთვის. იმის გამო, რომ პროგრამა ქართულენოვანია, ყველა უცხოელი ლექტორი, რომელიც ჩართულია პროგრამაში, უნდა

ფლობდეს ქართულ ენას B2 დონეზე და წარმოადგინოს სათანადო სერტიფიკატი. მათ ხელი უნდა შეეწყოს რათა ქართულ ენაზე კომუნიკაციისას იყვნენ თავდაჯერებულნი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	89	67	14	4
- პროფესორი	9	3	3	0
- ასოცირებული პროფესორი	16	9	9	3
- ასისტენტ-პროფესორი	4	2	2	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	60	35	0	0
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პირადი საქმეები და CV-ები
- შეხვედრა პერსონალთან, ლექტორებთან, პროგრამის მენეჯერთან
- საკადრო სქემა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებთან.
- სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა გადახედოს, რამდენად ჰყავს საკმარისი პერსონალი (სასწავლო და ადმინისტრაციული) სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- იქ სადაც ტუტორებს არ აქვთ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, სასარგებლო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა კონკრეტული საგნები და უნარები შეიძლება ისწავლებოდეს ჯანდაცვის სხვა პროფესიონალების მიერ და კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დონე.
- სასურველია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრობლემაში მონაწილე ყველა უცხოელი ლექტორი მიიღებს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ B2 დონის სერტიფიკატს, მათ შეეწყოს ხელი ქართულ ენაზე კომუნიკაციისას იყვნენ თავდაჯერებულნი.

შეფასება

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.1. ადამიანური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ არის მითითებული

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა			
პროფესორი:			
ასოცირებული პროფესორი			
ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი იყენებს კითხვარებზე დაფუძნებულ მიდგომას პერსონალის მუშაობის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. სტუდენტი აფასებს პერსონალს ყოველი კურსის ბოლოს „წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების“ გამოყენებით. ასევე ხდება პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება შეთანხმებული პროცესის გამოყენებით. პერსონალი ავსებს თვითშეფასების ანგარიშს და ეს საშუალებას აძლევს მათ, გამოკვეთონ თავიანთი ინტერესები სხვადასხვა ტრენინგების მიმართ. პერსონალის მუშაობის ყველა ეს ინდიკატორი გროვდება და კონტროლდება ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ და გამოიყენება პროფესიული განვითარებისათვის.

უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა ტრენინგ-კურსებს, მაგალითად: TOT, ლიდერობის ტრენინგი, კვლევის მეთოდები, სწავლების მეთოდები, AMEE 2022, AMEE-RESME სასწავლო კურსები და ა.შ. და მოწვეულ ლექტორებს ასევე სთავაზობენ პერსონალის შემდგომ განვითარებას.

საქართველოს უნივერსიტეტსა და ალტე უნივერსიტეტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია აკადემიური პერსონალის ერთობლივი ტრენინგი სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში, როგორცაა PBL, CBCR, Mini-CEX (Mini Clinical Evaluation Exercise).

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩართულობის გასაძლიერებლად. ეს კეთდება "ალტე უნივერსიტეტის ფონდის" დაარსებით, რომელიც აფინანსებს არა მხოლოდ კარგ სტუდენტებს, არამედ კვლევით პროექტებს, რომლებსაც ახორციელებენ როგორც პერსონალი, ასევე სტუდენტები. (ამჟამად 150,000 ლარი ინახება რეზერვში, თანხის მოზიდვა გრძელდება). მოსალოდნელი ხარჯები იქნება 70% სტუდენტებისა და პერსონალის საქმიანობისათვის და 30% კვლევისათვის.

ინტერვიუებისას განმახორციელებლემმა დაადასტურეს უნივერსიტეტის მხარდაჭერის არსებობა სამეცნიერო მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი
- კვლევითი პროექტების განხილვის, დამტკიცებისა და მონაწილეობის წესები
- პერსონალის მართვის პოლიტიკა

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღტე უნივერსიტეტში ძირითადი საგნები მეტწილად ისწავლება მთავარ კამპუსში, სადაც არის კეთილმოწყობილი სალექციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, სიმულაციური ცენტრი, ადმინისტრაციული პერსონალის ოთახები, ასევე გათვალისწინებულია შშმ პირების მოთხოვნები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისური) პროგრამა, რომელიც ამჟამად ხორციელდება, წელიწადში იღებს 300 სტუდენტს და ამ პროგრამისთვის გამოყოფილია საკმარისი საერთო რესურსი; თუმცა არსებობს დამატებით 90 სტუდენტი, რომლებიც სწავლობენ არსებითად მსგავსს მაგრამ სხვა პროგრამაზე და ეს პროგრამა საჭიროებს პერსონალისა და რესურსების ზრდას სასწავლო პროცესის განსახორციელებლად (იხ. ამის ანალიზი სტანდარტში 4.1)

ბიბლიოთეკას აქვს კომფორტული გარემო და აქვს საკმარისი ბეჭდური და ელექტრონული რესურსი პროგრამაში მითითებული ძირითადი ლიტერატურისთვის; ქართული ლიტერატურა შედარებით მწირია. სტუდენტებს და პროფესორებს შეუძლიათ რესურსების გამოყენება ბაზიდან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით; ასევე აქვთ სასწავლო მასალებზე დისტანციურად წვდომა. საჭიროების

შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტებს გადასცემს ასლებს. ბიბლიოთეკა ასევე შეიცავს შესაბამისი პროფილის სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო ინფორმაციისა და სამეცნიერო რესურსების ღია ხელმისაწვდომობას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა სატესტო ბანკებს და საგამოცდო სისტემებს, CBL, PBL, OSMOS კითხვების ბანკს და ასევე აქვს შექმნილი Turnitin-ის ლიცენზია.

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი კეთილმოწყობილი ლაბორატორია მიკროსკოპებით და ყველა საჭირო აღჭურვილობით, თუმცა გარდა ამისა ლაბორატორიული სწავლების დიდი ნაწილი მიმდინარეობს კლინიკა "მეგალაზში" ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის ქვეშ.

სიმულაციური ცენტრი აღჭურვილია სხვადასხვა ტრენაჟორით, არის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) სივრცე, რომელიც ასევე გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. თუმცა ოთახების შედარებით მცირე ზომის გათვალისწინებით და ასევე სტუდენტების 20 კაციან ჯგუფებში მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეზღუდული იქნება იმ სტუდენტთა რაოდენობა რომლებმაც უნდა ისწავლონ თითოეულ ოთახში.

ერთი სიმულაციური ოთახი, დღეში 8-საათიანი სამუშაო დატვირთვით და კვირაში 6 დღე, უნდა მოქმედებდეს კვირაში 48 საათის განმავლობაში. სიმულაციური ცენტრის საშუალო საათები თითო საგანში ერთი ჯგუფისათვის (20 სტუდენტი) არის 3 საათი. ამის საფუძველზე კვირაში (6 დღე) ერთ სიმულაციურ ოთახს შეუძლია 48 საათში მოემსახუროს მაქსიმუმ 16 ჯგუფს (320 სტუდენტს). თუ უნივერსიტეტი გეგმავს წელიწადში 390 სტუდენტის ჩარიცხვას (300 ინგლისურში და 90 ქართულში), ეს ნიშნავს, რომ წელიწადში 1170 სტუდენტმა (390x3), 59 ჯგუფმა ("ექიმი და პაციენტი" I-VI, პირველ 3 წელიწადში ერთსა და იმავე დროს) უნდა ჩაატაროს სიმულაციურ ოთახში მეცადინეობა. ამ გაანგარიშებით 2 სიმულაციური ოთახი არ არის საკმარისი სტუდენტების ამ რაოდენობისთვის. თვითშეფასების დოკუმენტებში და სტუდენტებთან გასაუბრებისას აღნიშნული იყო, რომ უმაღლეს სასწავლებელს აქვს სიმულაციური ცენტრი რესპუბლიკურ საავადმყოფოში, თუმცა დოკუმენტურად ამის იდენტიფიცირება შეუძლებელია.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ „არსებული მეთოდოლოგიით, გათვალისწინებულია 2 კვადრატული მეტრი ერთი სტუდენტისათვის, ლექტორებისა და სტუდენტების თანაფარდობა არის 1/15, ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან არის 1/40, კომპიუტერული და სხვა აღჭურვილობა გათვალისწინებულია თითო ყოველი 30 სტუდენტისთვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არსებული შესაძლებლობები არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს წელიწადში 90 სტუდენტის მიღებას დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამაზე.

კლინიკური საგნები ისწავლება რამდენიმე კლინიკაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს წვდომა საუნივერსიტეტო კლინიკა "ივ. ბოკერიას საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან" (ევექს ჯგუფის ნაწილი), სადაც ალტე უნივერსიტეტის სტუდენტების 95% იგზავნება კლინიკური გამოცდილების მისაღებად. კლინიკაში არის ადამიანი, რომელიც შუამავალია კლინიკასა და უნივერსიტეტს შორის და სწავლების დროს ატარებს მონიტორინგს. ამკარაა, რომ ეს პარტნიორობა ძლიერია და სტუდენტებს სთავაზობს კლინიკური გამოცდილების ფართო სპექტრს კარგად ჩამოყალიბებულ სასწავლო გარემოში. ის ასევე სთავაზობს დამატებით სარგებელს თანმიმდევრული მიდგომის შემუშავებით კლინიკური დისციპლინების სწავლებასა და მიწოდებაში. ბოკერიას კლინიკის მემორანდუმში არ არის ნაჩვენები, თუ რამდენმა სტუდენტმა უნდა გაიაროს თითოეული კურსი და რამდენი მასწავლებელია წარმოდგენილი თითოეულ საგანში. მაგალითად, თანდართულ ცხრილში მოცემულია საგნები: შინაგანი მედიცინა 1 (კარდიოლოგია, პულმონოლოგია, ნეფროლოგია), 137 საკონტაქტო საათია ჩამოთვლილი, თუმცა რამდენი მასწავლებელი ჩაატარებს ამ საათებს, ყველა მასწავლებელი არის თუ არა აღნიშნულ კლინიკაში და როგორ ნაწილდება საათები, უცნობია.

ვიზიტი განხორციელდა ორ კლინიკაში: 1. ივ. ბოკერიას საუნივერსიტეტო საავადმყოფოში. 2. ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრი. ორივე კლინიკაში სტუდენტებისთვის განკუთვნილი სივრცე და სასწავლო ოთახები საკმარისია სტუდენტების რაოდენობისთვის, ასევე შესაძლებელია ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომა. კლინიკაში ჯგუფები იყოფა და შემდეგ ნაწილდება პალატებში, სამანიპულაციო თუ საოპერაციო ბლოკებში. პაციენტის თანხმობით, სტუდენტებს უფლება აქვთ დაესწონ და დააკვირდნენ კონსულტაციებს.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია თანამშრომლობა 20 კლინიკასთან, თუმცა დოკუმენტებში მხოლოდ 9 კონტრაქტია წარმოდგენილი. ზოგიერთმა ლექტორმა სტუდენტები მიიღო ო.ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრში, ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკაში; კლინიკა "ბაიბში", "ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრში", "ჯეო ჰოსპიტალში" და სხვა, თუმცა კონტრაქტები არ არის წარმოდგენილი. ასევე, სტუდენტების თქმით, კლინიკა "ვივამედში" გადიან რენტგენოლოგიას, რომლის კონტრაქტიც ასევე არ დაფიქსირებულია.

როგორც სტანდარტ 2.2-შია აღნიშნული, ყველა კლინიკის ხელშეკრულებაში არ იყო დაფიქსირებული ყველა საჭირო დეტალი, მაგ. დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, თითოეულ მემორანდუმში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები: 1. სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა წელიწადში; 2. კლინიკური კურსების დასახელება და ხანგრძლივობა; 3. სტუდენტთა რაოდენობა დროის ერთსა და იმავე პერიოდში კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში. ეს უნდა გამოსწორდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ დაგეგმილი მოცულობა საკმარისია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

კლინიკური სუბორდინატურა ორგანიზებულია 20-კაციან ჯგუფებად, რომლებიც შემდეგ კიდევ იყოფა ორ 10-კაციან ჯგუფად. ეს ზედმეტად გართულებულია და შეიძლება შეზღუდოს მოქნილობა, თუ მცირე კლინიკური ერთეულები შესთავაზებენ მათ განთავსებას და ამიტომ მიზანშეწონილია, ითქვას უფრო მარტივად, რომ სტუდენტები ყოველთვის არიან 10-კაციან ჯგუფებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- ადგილზე ვიზიტი
- თვითშეფასების ანგარიში
- მემორანდუმები კლინიკებთან
- ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
- ვებგვერდი: Alte.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გადახედოს კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს და შესაბამისობაში მოიყვანოს უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, რათა დარწმუნდეს, რომ მათში შეტანილია ყველა აუცილებელი ელემენტი (სასწავლო კურსების სია, სტუდენტთა წლიური რაოდენობა, ნაკადების განსაზღვრა).
- კონკრეტულად რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გაზარდოს რესურსები; სიმულაციის ცენტრის ოთახების რაოდენობა, პრაქტიკის დაწესებულების, ლაბორატორიული ოთახების რაოდენობა და ასევე თითოეული საბაზისო/კლინიკური კურსის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რათა დაწესებულებას ჰქონდეს საკმარისი შესაძლებლობა რომ განახორციელოს აღნიშნული პროგრამა მაქსიმუმ 90 მისაღებ სტუდენტზე ყოველწლიურად, რაც დაემატება უკვე არსებული ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამის 300 სტუდენტს ყოველწლიურად.

- რეკომენდებულია კონკრეტული ხელშეკრულებების გაფორმება ყველა განმახორციელებელ კლინიკასთან დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამის დანერგვისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ადმინისტრაციული სირთულის შესამცირებლად, რჩევია რომ თითო ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა იყოს 10 და არა ორ 10 კაციან ჯგუფად დაყოფილი - 20.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.4. მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაანგარიშება ეფუძნება ალტე უნივერსიტეტის ფინანსურ შესაძლებლობებს. უნივერსიტეტმა არაერთხელ განუცხადა ექსპერტთა ჯგუფს, რომ წლიური მიღება იქნება 90 სტუდენტი და ეს დასტურდება, როგორც მისაღები ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე <https://alte.edu.ge/en/program/medical-doctor-georgian>) - ამგვარად, ბიუჯეტში მოწოდებული მაჩვენებლები საკმარისია.

უნივერსიტეტის უფროსმა მენეჯმენტმა აცნობა ექსპერტთა ჯგუფს, რომ აპირებენ სტიპენდიების მინიჭებას 5-10 სტუდენტისთვის, მათი აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე, იმ იმედით, რომ ეს წახალისებს კარგ სტუდენტებს რომ დარჩნენ საქართველოში სწავლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკის პირველ წლებში მაინც. ფინანსურ მენეჯერთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ თანამშრომლების ქართულენოვანი პროგრამით დაინტერესების მიზნით, ისინი აპირებენ ერთნაირი ხელფასის გადახდას ორივე ენობრივი პროგრამის სწავლებაში ჩართულ პირებისათვის.

უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია: ხელფასი, სამედიცინო ხარჯები, საგანმანათლებლო რესურსები, კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო აქტივობები, სპორტული და სხვა ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. ხდება შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის დეპარტამენტთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტს აქვს შესატყვისი პასუხისმგებლობა დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და გააჩნია უნივერსიტეტის მასშტაბით დოკუმენტირებული

პროცესები, რომლებიც მკაფიო და ლაკონურია. წინა წლებში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და გამოყენებული ინსტრუმენტების ვრცელი ჩამონათვალი იყო მოწოდებული თვითშეფასების ანგარიშში იმის გარანტიასთან ერთად, რომ შემდგომი ხარისხის გაუმჯობესების ინდიკატორები ასევე დაფუძნებული იქნება რაოდენობრივ ანალიზზე წმინდა პრომოუტერის ქულის გამოყენებით (NPS მეთოდოლოგია).

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობდა მათთან, ვინც მონაწილეობდა დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამის შემუშავებაში და მათი ჩართულობის მხარდასაჭერად შექმნა უნივერსიტეტის სახელმძღვანელო დოკუმენტები (ქვემოთ ჩამოთვლილი) პროგრამის შემუშავებისა და მიწოდებისადმი შესაბამისი მიდგომის აღსაწერად. ეს დოკუმენტები ეფუძნება PDSA პრინციპების გამოყენების კონცეფციას (თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, როგორც „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“, 11 სფეროს ჩამონათვალით, რომლებიც გამოკვლეული და გაანალიზებულია). ეს იყო ეფექტური გზა დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამის შემუშავებისათვის, მსგავსი დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისური) პროგრამის მიწოდების გამოცდილების ასახვითა და ანალიზით. ექსპერტთა ჯგუფს მიერწოდა ინფორმაცია თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითის შესახებ. ერთ-ერთმა პედაგოგმა გამოავლინა და უკუკავშირი მიაწოდა ზოგიერთი საგნის შინაარსის და ამ საგნებისთვის აუცილებელი უნარების მიწოდების არასწორი თანმიმდევრობისა შესახებ და ამან გამოიწვია განრიგის რეორგანიზაცია. კიდევ ერთი მაგალითი ეხება ფაკულტეტის წევრებს, რომლებიც ასევე იყვნენ ჩართულნი თვითშეფასების ჯგუფში, იყენებდნენ მიმოხილვას, როგორც შესაძლებლობას შეესწავლათ თავიანთი გამოცდილება პროგრამის მიწოდებასთან დაკავშირებით და შეთანხმდნენ ხარვეზებზე, რომლებიც შემდეგ შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრილიყო. მაგ. ანტიპლაგიატის ახალი პროგრამის უზრუნველყოფის საჭიროება და შექმნა.

უნივერსიტეტის დოკუმენტაცია აძლიერებს საჭიროებას, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი იყოს თანამშრომლობითი. ამას მოწმობდა პროგრამის ხელმძღვანელი, რომელმაც შეძლო გასაუბრებაზე ეჩვენებინა, რომ მას ჰქონდა ყოვლისმომცველი ინფორმაცია სასწავლო გეგმის სხვადასხვა კომპონენტზე და რამდენად კონსტრუქციულად იყვნენ ისინი მორგებული ინტეგრაციის მისაღწევად როგორც მიწოდების, ისე შეფასების დროს. მან აღწერა თავისი მიდგომა აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებული მასალების სტანდარტიზაციის უზრუნველსაყოფად და რომ ამ ინფორმაციას გაუზიარებდა მათ პროგრამის შემუშავების კომიტეტში განხილვისას, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა. გამოკითხულმა აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა ეს და უმეტესობამ განაცხადა, რომ ისინი იყვნენ პროგრამის შემუშავების კომიტეტის წევრები, რომელიც იყო ინკლუზიური ჯგუფი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი გამიზნულია ინფორმაციის გაზიარებაში დასახმარებლად, შედარებით არაფორმალურია, თუ რომელი პერსონალი უნდა იყოს მასში. ამან საშუალება მისცა 40-ზე მეტ თანამშრომელს გამხდარიყო კომიტეტის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ მისასაღებელია ამდენი თანამშრომლის თავდადებულობა ახალი პროგრამის შემუშავების მიმართ, ჯგუფის ზომამ შეიძლება შეზღუდოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურობა. უფრო მცირე ჯგუფი, მკაფიოდ განსაზღვრული წარმომადგენლობითი წევრობით, შეიძლება იყოს უფრო ეფექტური და ასევე მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში.

როგორც აკადემიურმა, ისე მოწვეულმა პერსონალმა გამოკითხვისას დაადასტურა, რომ ჩართულნი იყვნენ პროცესში და ნაწილობრივ ეს განპირობებული იყო დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისური) პროგრამაზე მუშაობის გამოცდილებით. მათ შეძლეს გაეზიარებინათ შეთავაზებული ცვლილებების მაგალითები, რომლებიც მათ მიაწოდეს პროგრამის ხელმძღვანელს და დეკანს და რომ ეს წინადადებები განხორციელდა. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ მას სურს იმუშაოს სტუდენტური პორტფოლიოს შექმნაზე, როგორც მეთოდისა, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს მათი უნარების

განვითარებაში. იმის გათვალისწინებით, რომ პორტფოლიოები რჩება აღწერად, მაგრამ კომპლექსურ ინსტრუმენტად, პროგრამის განვითარების კომიტეტისთვის სასარგებლო იქნება ამ საკითხზე მუშაობა ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტთან, რათა მოხდეს პორტფოლიოს სტანდარტიზაცია ისე, რომ დაემატოს ღირებული მონაცემები პროგრამის ხარისხის შესახებ, განსაკუთრებით, სწავლების შემდგომ, კლინიკურ წლებში.

ალტე უნივერსიტეტს აქვს მტკიცე ურთიერთობა ევექსის ჯგუფთან და სტუდენტების კლინიკური გამოცდილების დიდი ნაწილი ხორციელდება ევექსის კლინიკებში (განსაკუთრებით ივანე ზოკარიას საუნივერსიტეტო საავადმყოფოში). ეს არის 5-წლიანი ექსკლუზიური ურთიერთობა და უზრუნველყოფს მდგრად პლატფორმას, რომელზეც დაფუძნებულია სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა საავადმყოფოსა და კლინიკებში. თუმცა, დამსაქმებლებთან განხილვის შემდეგ, გარდა ევექსის დამსაქმებლებისა, ცხადი გახდა, რომ ზოგიერთს ჰქონდა შეზღუდული გაგება ალტეს გეგმებზე ამ პროგრამის მიმართ. ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ალტე უნივერსიტეტის თანამშრომლობა სხვა კლინიკებთან ძირითადად ხდებოდა კლინიკების ექიმებთან კომუნიკაციით და არა ლიდერის/მართვის როლის მექანე პირებთან. მენეჯერებთან კომუნიკაციის არარსებობა იწვევს დაბნეულობას და შესაძლო არარეალურ მოლოდინებსაც კი პროგრამის მიწოდებისას, იმის გამო, რომ შეუძლებელია სწავლებისთვის რესურსის გამოყოფა, საჭიროების მიხედვით.

დასკვნის სახით ცხადია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართული იყო ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ასპექტში, პროგრამის დაგეგმვისას თვითშეფასების ჯგუფებისა და პროგრამის შემუშავების კომიტეტის მეშვეობით და ეს სამუშაო მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის დაწყების შემდეგ, ხოლო რეალური მიწოდების მონიტორინგსა და გამოხმაურებას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუმცა, მხოლოდ კითხვარების საშუალებით მონაცემების მიწოდების გარდა გასათვალისწინებელია ის გზები, რომლითაც სტუდენტები შეიძლება ჩაერთონ ამ პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა N17
- პროგრამის სწავლის შედეგები
- პროგრამის გეგმა
- კურსის სილაბუსები
- სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და დამატებითი ასპექტების ფორმირება (მეთოდური გზამკვლევი)
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია
- შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები, ანალიზი და გამოყენების პრაქტიკის
- ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია მმართველობის სტრუქტურის დოკუმენტაცია მოიცავდეს დამატებით დეტალებს, რათა უკეთ განისაზღვროს სხვადასხვა ქვე-ჯგუფების უფლებამოსილება, მაგალითად პროგრამის შემუშავების კომისიის და მასში ჩართულთა წარმომადგენლობითი როლი.
- ალტე უნივერსიტეტმა უმჯობესია გადახედოს იმ გადაწყვეტილებას, რომ უფლება მისცეს ყველა დაინტერესებულ პირს გახდეს პროგრამის შემუშავების კომისიის წევრი და მოახდინოს ამის რესტრუქტურირება ისე, რომ წარმომადგენლობითი წევრობა დაეფუძნოს პერსონალის როლებს.

- სასურველია, რომ ხარისხის მართვისა და შესაბამისობის განყოფილებამ განაგრძოს ჩართულობა პორტფოლიოს შემუშავების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს, რომ პორტფოლიოს ფარგლებში შეგროვებული მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს ისე, რომ მოხდეს პროგრამის მონიტორინგისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა.
- დამსაქმებლებთან არსებული კომუნიკაციების გაუმჯობესება შესაძლებელია, თუკი ალტე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ შესაბამის კლინიკებში ექიმებთან კომუნიკაციების გარდა, ისინი ასევე მჭიდრო კომუნიკაციაში იქნებიან მმართველ რგოლთან. ეს დაეხმარება უსდ-ს დამატებითი ლოჯისტიკის უზრუნველყოფაში მამინ, როდესაც სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება.
- სასურველია, რომ ალტე უნივერსიტეტმა იფიქროს დამატებით ინოვაციურ გზებზე, უკუკავშირისთვის განკუთვნილი კითხვარების გარდა, რითაც სტუდენტები შეძლებენ პროგრამის განვითარებაში წვლილის შეტანას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.1 ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ალტე უნივერსიტეტმა მიიღო რამდენიმე მიდგომა ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიმართ. პირველი, მათ დაავალეს ორ გარე ექსპერტს პროგრამის განხილვა და დაგეგმეს ამ მიდგომის გამეორება სხვადასხვა ექსპერტებთან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ და მეორე, შეადარეს დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამა სამ სხვა პროგრამას - კონკრეტულად ბოლონიის, ედინბურგისა და ვილინის უნივერსიტეტებისას. დაგეგმილია ამ მიდგომის გამეორება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. უნივერსიტეტი მომავალში გეგმავს საერთაშორისო პარტნიორების ქსელის გაფართოებას (ამჟამად სამია, მაგრამ 2024 წლისთვის თერთმეტამდე გაიზრდება) ისეთი მიზეზების გამო, როგორცაა სტუდენტების გაცვლა, პერსონალის განვითარება და კვლევითი თანამშრომლობა და ა.შ. ამით ასევე გაზრდის ინფორმირებულობას და ცოდნას ხარისხისა და ხარისხის უზრუნველყოფის მრავალი ასპექტის შესახებ, რომლებიც საერთოა ან განსხვავებულია ალტეს უნივერსიტეტისაგან.

თვითშეფასების ანგარიშმა წარმოადგინა ორი ექსპერტის მოხსენებების დეტალები, თუმცა ანგარიშების ასლები არ იყო მოწოდებული დოკუმენტების პაკეტში. პროფესორმა ალფონსო რეკორდარემ აღიარა, რომ პროგრამა იყო შესაბამისი და დააკმაყოფილებდა სამედიცინო კურსდამთავრებულების მიმართ ამჟამინდელ მოლოდინებს. თუმცა მან ასევე შესთავაზა ალტე უნივერსიტეტს გადახედოს მისი გადაწყვეტილებას ინგლისური ენის ცოდნის დონის შესახებ. მეორე ექსპერტი იყო პროფესორი მაია ადვადე საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მედიცინის სკოლიდან, რომელმაც რეკომენდაცია გაუწია ალტე უნივერსიტეტს გაეგრძელებინა სასწავლო გეგმის ინტეგრაციის დონის ამალეება უფრო ვრცელ სისტემებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. როგორც ექსპერტთა ჯგუფს არაერთხელ

განუცხადეს, ამ პროგრამაში ინტეგრაციის დონის ამაღლება წარმოადგენს მათი წინსვლის ერთ-ერთ ამბიციას.

ამ ამბიციის განვითარების ნაწილში ალტე უნივერსიტეტმა აირჩია დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამის სამ სხვა საერთაშორისო პროგრამასთან შედარება, შესადარებელი უნივერსიტეტები არჩეულ იქნა მათი ინტეგრაციის სხვადასხვა დონის მიხედვით. განხილვისას გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ მაშინ, როცა ედინბურგი და ბოლონია უფრო დაწინაურებულნი იყვნენ ვიდრე ალტე უნივერსიტეტი, თავიანთ პროგრამაში ინტეგრაციის მასშტაბით, ვილნიუსის უნივერსიტეტი იყო ნაკლებად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის შედარებები ძალზედ სასარგებლოა პროგრამის შემუშავების ამ ეტაპზე, სრულად ინტეგრირებული სასწავლო გეგმების მაგალითების უფრო დეტალური მიმოხილვა შესაძლოა უფრო მომგებიანი იყოს მომავალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და დამატებითი ასპექტების ფორმირება (მეთოდური გზამკვლევი)
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია
- შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები, ანალიზი და გამოყენების პრაქტიკის
- ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ამჟამინდელი პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს შედარებისთვის ინტეგრაციის სხვადასხვა დონის მქონე სამი დაწესებულების გამოვლენას არის ძალიან ხელსაყრელი და ეფექტურად ეხმარება პროგრამის განვითარებას, თუმცა სამომავლოდ, დამატებითი სარგებლის მიღება შესაძლებელი თუკი ერთი, უფრო სრულად ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მაგალითის დეტალური განხილვა განხორციელდება, ახალი საერთაშორისო პარტნიორი დაწესებულების ჩართულობით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.2. გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

იმის გათვალისწინებით, რომ დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამა ჯერ არ დაწყებულა, არ არსებობს პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენებული შეფასების შედეგების მაგალითები, გარდა ადრე აღწერილი მაგალითისა, რომელშიც გამოყენებულია ინფორმაცია დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისური) პროგრამიდან, რომელიც ამჟამად მიწოდებულია დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამაში გაუმჯობესებების ინფორმირების საშუალებად.

თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია დეტალური მიდგომა, რომელიც შემუშავდა პროგრამის ეფექტური მონიტორინგისთვის და ეს დადასტურდა თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან განხილვისას, როდესაც მათ მოიყვანეს ამ მუშაობის მაგალითები. პროცესი ციკლურია და მიმდინარეობს, თუმცა პროცესის განსაზღვრულ დროს, ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე და შემდეგ გადასცემს მათ დირექტორთა საბჭოს (BoD) განსახილველად და რეაგირებისთვის. მოხსენებული იქნა, რომ მოცემული პროგრამის შემუშავების პროცესში მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები გაეგზავნა დირექტორთა საბჭოს, რომელმაც მიიღო ისინი კითხვების გარეშე.

ალტე უნივერსიტეტი აგროვებს მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან სხვადასხვა მიდგომისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. მათ შეაგროვეს ინფორმაცია დამსაქმებლებისგან მათი საჭიროებების შესახებ, რომ კურსდამთავრებულები იყვნენ „პრაქტიკისთვის მზად“ სკოლის დამთავრებისას და გარდა ამისა, მათ გააფორმეს ANOVA-სთან კონტრაქტი, რათა მიაწოდოს ბაზრის კვლევა შრომის ბაზრის საჭიროებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს გაკეთდა ამ ახალი პროგრამის შემუშავებისთვის, ის სასარგებლო მიდგომაა, რომელიც თუ რეგულარულად განმეორდება, იქნება ეფექტური გზა პროგრამის მიერ დამსაქმებელთა და საქართველოს ჯანდაცვის საჭიროებების კვლავ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო სისტემები, როგორც ჩანს, კარგად არის ჩამოყალიბებული და საჭიროებისამებრ უზრუნველყოფილი, შესაძლოა სტუდენტთა რაოდენობის მატებასთან ერთად, რაც გამოიწვევს კლინიკურ სწავლებას სხვადასხვა კლინიკაში, მიზანშეწონილი იყოს დარგთან (მედიცინასთან) დაკავშირებული სტრატეგიის განხილვა - სპეციფიკური შეფასება (მაგ. კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების გაძლიერება). ამან შეიძლება მოითხოვოს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც მოიცავს ამ დამატებით საკითხებს, გარკვეულწილად განსხვავდება საუნივერსიტეტოსგან და სპეციფიკური იქნება ფაკულტეტისათვის. ალტე უნივერსიტეტის ევექსის ჯგუფთან მჭიდრო პარტნიორობის გათვალისწინებით, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს მასთან თანამშრომლობა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ამ ასპექტის შემუშავებაში და ისეთი მიდგომის შერჩევა, რომელიც არა მხოლოდ ეფექტური, არამედ მომგებიანი იქნება ორივე მხარისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და დამატებითი ასპექტების ფორმირება (მეთოდური გზამკვლევი)
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია

- შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები, ანალიზი და გამოყენების პრაქტიკის
- ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია, რომ ალტე უნივერსიტეტმა გაარძელოს მიდგომის შენარჩუნება ბაზრის კვლევის რეგულარულად ჩატარების კუთხით, რათა უზრუნველყოს პროგრამის განვითარება ისე, რომ დააკმაყოფილოს დამსაქმებლების და საქართველოს მოსახლეობის ჯანდაცვის საჭიროებები.
- ალტე უნივერსიტეტისთვის შესაძლოა ხელსაყრელი აღოჩნდეს, თუკი შეიმუშავებს პროგრამისთვის სპეციფიურ ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტს, რომელსაც განახორციელებს მისი ამჟამინდელი ეფექტური მიდგომის პარალელურად, რომელიც ვრცელდება მთელს უნივერსიტეტში. სპეციალურად პროგრამისთვის მოქმედი პარალელური ელემენტის არსებობა შესაძლოა დაეხმაროს უსდ-ს, დამატებითი პრობლემების გადაჭრაში, კერძოდ ისეთების, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სტუდენტთა რაოდენობისა და კლინიკური სწავლების მასშტაბის გამო. ამ სამუშაოს გაუმჯობესება შესაძლებელია, თუკი ეს მოხდება ევექსის ჯგუფთან თანამშრომლობით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის მითითებული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: შპს ალტე უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, დონე: დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი (ქართულენოვანი)

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პროფესორი მეირი სკოტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

პროფესორი თინათინ გოგნაძე

ლაშა დოლიძე

ასოც. პროფ. თამარ გოდერიძე

დოქ. დავით მაქასარაშვილი,